პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

ორშაბათი, 26 აპრილი 1937 წ. № 95 4896

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთშია:

— საკურორტო სეზონი და საბჭოთა ვაჭრობა (მოწინავე)
— მრეწველობისა და რკინიგზის ტრანსპორტის მეორე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულება
— ბოლშევიკურად ვუხელმძღვანელოთ ბეჭდვით სიტყვას („პრავდის" მოწინავე")
— ნემო — გესტაპო — ომის ფაშისტური მომზადების ხარალი (ფელეტონი)
— ტარას შევჩენკო — კავკასი (ლექსი)
— შ. მეგრელიძე — შრომის ორგანიზაცია სუბტროპიკულ კოლმეურნეობებში (ფელეტონი)
— „ხალხური ვეფხის ტყაოსანი" (ბიბლიოგრაფია)

უცხოეთში:
— მადრიდის დაცვის კომიტეტის ცნობა
— მეამბოხეთა იერიშები ხარამის ფრონტზე მოგერიებულია
— უკმაყოფილება და მღელვარება ესპანელ მეამბოხეთა რიგებში.

საკურორტო სეზონი და საბჭოთა ვაჭრობა

საქართველო თავისი თვალწარმტაცი ბუნებით, შესანიშნავი ჰავით, უთვალავი მინერალური წყლებით განთქმულია მთელ საბჭოთა კავშირში. ზაფხულობით თითქმის მთელი საქართველო კურორტადაა გადაქცეული. საქართველოს ვერცერთ კუთხეს ვერ ნახავთ, რომ იქ რაიონული მნიშვნელობის აგარაკი მაინც არ იყოს, საქართველოს კურორტების დიდი უმრავლესობა კი საკავშირო მნიშვნელობისაა.

ძველად ჩვენი კურორტები მუქთახორებს —ექსპლოატატორულ კლასებს ემსახურებოდნენ. მაშინ ისინი გადაქცეული იყვნენ ლოთობისა და გარყვნილების ბუდედ.

სულ სხვაა ახლა. დღეს ძირფესვიანად შეცვლილია ჩვენი კურორტების სახე. აქ თავს იყრის ჩვენი ქვეყნის, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ბედნიერი ხალხი: ჩვენი ქვეყნის საამაყო ადამიანები-ორდენოსნები, სტახანოველები, დამკვრელი მუშები და კოლმეურნენი. საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩვენი კურორტები მშრომელთა ჯანმრთელობის ნამდვილ სამჭედლოდ გადაიქცნენ.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების, ბედნიერი და საამური ცხოვრების შექმნის, მშრომელი ხალხის მატერიალური და კულტურული დონის ზრდის შედეგად, კურორტებს ყოველწლიურად ახალ-ახალი მოაგარაკენი ემატება, ხოლო მომავალში მათი რიცხვი უფრო იმატებს. მუშას, რომელსაც ძველად კურორტზე ოცნებაც კი არ შეეძლო, დღეს თავისი ოჯახი აგარაკზე მიჰყავს.

დიადი სტალინური კონსტიტუციით სსრ კავშირის მოქალაქეთ აქვთ დასვენების უფლება, რაც უზრუნველყოფილია „...მუშებისა და მოსამსახურეებისათვის ყოველწლიურ შვებულებათა დაწესებით სამუშაო ხელფასის შენარჩუნებით, მშრომელთა მომსახურებისათვის სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და კლუბების ფართო ქსელით".

ცნობილია, რომ ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციები მოწოდებული არიან თავიანთი მუშაობა შეუფარდონ მოსახლეობის ასეთ „მოძრაობას"—მშრომელთა წასვლას კურორტებზე, მომსახურება გაუწიონ მშრომელთა მზარდ მოთხოვნილებებს. მაგრამ ზოგიერთი სავაჭრო ორგანიზაცია ხშირად ვერ ახერხებს თავისი მუშაობის ისე გარდაქმნას, რომ უზრუნველჰყოს მოაგარაკეთა მზარდი მოთხოვნილება.

ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ მუშაობენ ისე, რომ მოაწყონ კურორტებზე შეუფერხებელი ვაჭრობა, ნამდვილი საბჭოთა კულტურული ვაჭრობა ყველა საჭირო საგნით. ეს უპირველეს ყოვლისა ეხება პირველი მოთხოვნილების საგნებს, როგორიც არის პური, ნავთი, საპონი და სხვ., რაც ჩვენ საკმაო რაოდენობით მოგვეპოვება. სავაჭრო ორგანოების ასეთი მოუქნელი მუშაობის შედეგად მოქალაქე აგარაკზე ხშირად განიცდის ამ პროდუქტების ნაკლებობას, ხელში უვარდება გადამყიდველებს, სპეკულანტებს.

სწორედ ასეთი ყოვლად უმსგავსო, მოუქნელი მუშაობის შედეგი იყო, რომ გასულ წელს საქართველოს ზოგიერთ კურორტზე პურის საცხობების წინ „კუდები" იყო გამართული, დაცული არ იყო პურის ცხობის ასორტიმენტი. ნავთი თითქმის კვირაობით და თვეობით არ იშოვებოდა, რითაც სარგებლობდნენ სპეკულანტები, რომელნიც ფუთ ნავთს 30—40 მანეთად ჰყიდდნენ. საბჭოთა ვაჭრობის ორგანოების ასეთ მოუქნელ მუშაობას ვერ მოითმენს საბჭოთა მომხმარებელი. იგი მათგან მოითხოვს ნამდვილ კულტურულ ვაჭრობას, ხოლო კულტურული ვაჭრობა ნიშნავს—ფეხდაფეხ მიჰყვე მომხმარებლის ყოველდღიურ მოთხოვნილებას, მოაწყო მუშაობა ისე, რომ მომხმარებელი მხედველობიდან არცერთ წუთს არ გამოგრჩეს.

სავაჭრო ორგანოები საკურორტო სეზონისათვის ყოველთვის ემზადებოდნენ, მაგრამ მათ მეტად ცუდი ტრადიცია აქვთ. ამ მომზადებას ისინი იწყებენ არა ზამთრის პერიოდში, როცა ეს საჭიროა, არამედ მაშინ, როცა მოაგარაკეები უკვე მიდიან კურორტებზე. იმის ნაცვლად, რომ სავაჭროები ზამთრის პერიოდში შეაკეთონ, რათა გაზაფხული გაწმიყენონ სავაჭრო წერტების საქონლით მომარაგებისათვის, რემონტს აწარმოებენ გახურებული საკურორტო სეზონის დროს—ივნისში, ივლისში და ხშირად აგვისტოშიც. ასეთი „პრაქტიკის" მაგალითები გვქონდა ბორჯომის რაიონში, სადაც მთელი რიგი მაღაზიები გაიხსნა მხოლოდ აგვისტოში, საკურორტო სეზონის მიწურულს.

წელს სავაჭრო ორგანიზაციებმა რემონტისათვის მზადება გაცილებით უფრო ადრე დაიწყეს, მაგრამ ამ რემონტების გაჭიანურების საშიშროებაც არის. მაგალითად, ცეკავშირის სისტემა, რომელიც აგარაკებზე საქონლის ერთერთი მთავარი გამტარებელია და რომელიც წელს 100-ზე მეტი ახალი სავაჭრო წერტის აშენებას აპირებს, ხოლო ძველებს კაპიტალურ რემონტს უკეთებს,—ამ მუშაობის დამთავრებას ითვალისწინებს პირველი ივნისისათვის. საკითხავია, თუ ცეკავშირი რემონტის დამთავრებას ითვალისწინებს მხოლოდ პირველ ივნისს, როდისღა ფიქრობს ჩააყენოს ნორმალური მუშაობის კალაპოტში ეს წერტები?

საკურორტო სეზონისათვის მზადებაში აშკარა ოპორტუნიზმს იჩენს საქვაჭრობა, მას წელს კურორტების წესრიგში მოსაყვანად გადადებული აქვს 400.000 მანეთი, მაგრამ ამ თანხის ათვისებისათვის ჯერჯერობით რეალურად არაფერი გაუკეთებია. ეს მდგომარეობა ნათლად ადასტურებს, რომ საქვაჭრობას ამ საქმისათვის სერიოზულად არ მოუკიდნია ხელი, არ ესმის საკურორტო მზადების დიდი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა. მას ვერ გამოუტანია სათანადო დასკვნა ამხ. ლ. ბერიას მითითებიდან იმის შესახებ, რომ „საქართველო უნდა გადავაქციოთ სრულიად-საკავშირო ჯანმრთელობის კერად", რაც შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციები ჩვენს კურორტებზე მოაწყობენ ნამდვილ კულტურულ საბჭოთა ვაჭრობას.

საკურორტო სეზონი უკვე კარზეა მომდგარი, ხოლო არც შინვაჭრობის სახ. კომისარიატს და მის სისტემაში შემავალ სავაჭრო ორგანიზაციებს, არც კურორტვაჭრობას ჯერჯერობით არაფერი გაუკეთებიათ იმისათვის, რომ გაეგზავნათ ზოგიერთი საქონლის მარაგი საკურორტო რაიონებში. შინვაჭრობის სახ. კომისარიატი ოპერატიულად არ ამოწმებს ამ საქონლის დაშვებას ადგილებზე, შინვაჭრობის სახ. კომისარიატი სავაჭრო ორგანიზაციებს აძლევს საერთო ლიმიტს, თვითონ კი არ აწარმოებს პირველ მოთხოვნილების საგნების რეგულირებას. ეს საგნებიც ხშირად არასწორად ნაწილდება ქალაქებსა და კურორტებს შორის. ეს იწვევს კურორტებზე ამ საგნებით ვაჭრობის შეფერხებას. ეს მდგომარეობა შინვაჭრობის სახ. კომისარიატმა დროულად უნდა გაითვალისწინოს. მან უშუალოდ უნდა დააწესოს კურორტვაჭრობისათვის პირველი მოთხოვნილების საგნების ლიმიტები და ოპერატიულად უხელმძღვანელოს მათ რეალიზაციას.

საკურორტო სეზონი ახლოვდება. სეზონის დაწყებამდე ცოტა დრო დაგვრჩა. სათავეში უნდა ჩავუდგეთ საკურორტო ვაჭრობის დროულად და ღირსეულად გაშლას. კურორტებზე ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ღირსეული ადამიანების მომსახურება საბჭოთა ვაჭრობის ორგანოების საპატიო მოვალეობაა.

ჩაის ფოთლის პირველი კონები

გალი, 24 აპრილი (საქდესი). ჭუბურხინჯის სასოფლო საბჭოს სტალინისა და კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობანი და საბერიოს სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა შეუდგნენ ჩაის ფოთლის კრეფას. გალის ჩაის ფაბრიკამ მიიღო პირველხარისხოვანი ფოთლის პირველი პარტია 5 ათასი კილოგრამის რაოდენობით. ჩაის გადამუშავებას ფაბრიკა უკვე შეუდგა.

ფოთლის კრეფას შეუდგნენ აგრეთვე ოჩამჩირის რაიონის სტალინისა და ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობანი.

ლანჩხუთი 24 აპრილი (საქდესი). ნიგვზიანის ლ. ბერიას სახელობის ჩაის ფაბრიკამ მიიღო მწვანე ჩაის ფოთლის პირველი პარტია.

ხაჯაგის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველმა ამხ. ციცინო თევზაძემ 23 აპრილს პირველმა ჩააბარა 13 კილოგრამი პირველხარისხოვანი მწვანე ჩაის ფოთოლი. ჩაის ფოთლის შერჩევით კრეფა დაიწყო აგრეთვე არჩეულის ნინოშვილის სახელობის კოლმეურნეობაში. მთელი შეგროვილი ფოთოლი — პირველი ხარისხისაა.

ჩაის ფაბრიკები ამუშავდნენ

„საქართველოს ჩაის" ფაბრიკები მუშაობას შეუდგნენ.

24 აპრილისათვის მუშაობდნენ ჩაქვის, სალიბაურის, ბობოყვათის, ხუცუბანის, ქობულეთის, დიდი-ჭყონის, გალის, მოქვისა და აჩიგვარის ჩაის ფაბრიკები.

ჩაქვის უდიდესი ჩაის ფაბრიკაში გადასამუშავებლად მიიღეს 8.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, 23 აპრილს — 10.000 კილოგრამი. ბობოყვათის ფაბრიკაში უკვე გადამუშავებულია დაახლოვებით 10 ათასი კილოგრამი ფოთოლი, ხუცუბანის ფაბრიკაში — დაახლოვებით 5 ათასი კილოგრამი და სხვ. (საქდესი).

◇ ◇ ◇

გეგმა გადაჭარბებითაა შესრულებული

სამტრედია, 23 აპრილი (საქდესი). სამტრედიის რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა მანდარინის ხის, იაპონური ხურმისა და დაფნის დარგვის გეგმა. კოლმეურნეობებში და საკარმიდამო ნაკვეთებზე კოლმეურნეებმა დარგეს 100 ათასი მანდარინის, 30.000 — იაპონური ხურმისა და 100.000 დაფნის ნერგი.

მდგომარეობა ესპანეთში

მადრიდის დაცვის კომიტეტის ცნობა

პარიზი, 24 აპრილი (საქდესი). როგორც ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს, მადრიდის დაცვის კომიტეტის ცნობაში, რომელიც დღეს შუადღისას გამოქვეყნდა, აღნიშნულია:

„რესპუბლიკელთა ჯარებმა წინ წაიწიეს კარაბანჩელის სექტორში. საუნივერსიტეტო უბნიდან მეამბოხეთა გამოსვლის ახალი ცდა მარცხით დამთავრდა.

მდინარე ხარამის სექტორში რესპუბლიკელთა ჯარებმა მოიგერიეს მეამბოხეთა რამდენიმე იერიში".

უკმაყოფილება და მღელვარებანი ესპანელ მეამბოხეთა რიგებში

ლონდონი, 23 აპრილი. (საქდესი). სხვადასხვა წყაროებიდან მოდის ცნობები, რომლებიც მოწმობენ, რომ ესპანელ მეამბოხეთა რიგებში იზრდება უკმაყოფილება და მღელვარება. ბასკთა ფრონტზე ტყვედწაყვანილი მეამბოხენი გადმოგვცემენ, რომ სან-სებასტიანსა და ვიტორიაში ადგილი აქვს მღელვარებას. პამპლონში მღელვარებათა შემდეგ დახვრიტეს 50 კაცი, მღელვარებანი მოხდა იმის გამო, რომ გენერალმა ფრანკომ გამოსცა დეკრეტი ერთიანი ფაშისტური ფალანგის შექმნის შესახებ. კორდოვის ფრონტზე, პოსობლანკოს სექტორში, რესპუბლიკელთა მხარეზე გადავიდა მეამბოხეთა მთელი ასეული 175 კაცის შემადგენლობით.

ლა ლინიადან გიბრალტარში გაიქცა ცნობილი მონარქისტი, რომელმაც გაიტაცა მეამბოხეთა კუთვნილი 4 ათასი გირვანქა სტერლინგი. გიბრალტარში ალჟესირასიდან აგრეთვე ჩავიდა მეამბოხეთა არმიის 4 დეზერტირი. მეამბოხეთა ტერიტორიაზე მღელვარებანი სხვადასხვა მიზეზებით ხდება, მაგრამ, როგორც ჩანს, გენერალ ფრანკოს დეკრეტმა ფაშისტური ორგანიზაციების გაერთიანების შესახებ ყველაზე მეტად გაამწვავა ბრძოლა ფაშისტურ ჯგუფებს შორის. ბასკთა პროვინციაში ტყვე და დეზერტირი მეამბოხენი აგრეთვე აღნიშნავენ, რომ მეამბოხეთა ბანაკში არსებული მღელვარების ერთერთ მიზეზს წარმოადგენს მეამბოხეთა დიდი ზარალი უკანასკნელი შეტევის დროს.

ინგლისის პოზიცია ბილბაოს საკითხში

ლონდონი, 23 აპრილი. (საქდესი). არის ცნობები, რომ ინგლისის მთავრობამ რამდენადმე შესცვალა თავისი პოზიცია ბილბაოს საკითხში. როგორც ჩანს, ოპოზიციის მკაცრმა გალაშქრებამ გავლენა მოახდინა კაბინეტის მიერ 21 აპრილს მიღებულ გადაწყვეტილებებზე. მთავრობის განცხადებაში, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ მთავრობას არ შეუძლია ურჩიოს გემებს შევიდნენ ბილბაოს ნავსადგურში, და რომ ხიხონსა და სანტანდერში მდგომარეობა ყოველ დღე იცვლება. ყოველ შემთხვევაში, აღნიშნულია ცნობაში, ინგლისის სავაჭრო გემებს დახმარებას აღმოუჩენენ გაშლილ ზღვაში, თუ ისინი ამ დახმარებას მოითხოვენ.

ეს ცნობა საგრძნობლად განსხვავდება წინანდელი კატეგორიული გაფრთხილებისაგან ინგლისის გემების ბილბაოში შესვლის წინააღმდეგ.

მას შემდეგ, რაც ეს განცხადება გამოქვეყნდა, ინგლისის სამი გემი „მაკ-გრეგორი", „ჰემსტერლი" და „სტენბრუკი" გუშინ საღამოს სურსათის ტვირთით სენ ჟან დე ლუზიდან შევიდნენ ბილბაოში. ნაშუადღევს ბილბაოს მიმართულებით გავიდა აგრეთვე ხაზოვანი გემი „ჰუდი". არსებული ცნობების თანახმად, „ჰუდი" შეუთანხმდა გემებს, რომ შეხვდება მათ ტერიტორიულ წყლების მახლობლად.

რეიტერის სააგენტოს მიერ უფრო გვიან მიღებული ცნობების თანახმად, „მაკ-გრეგორმა", „ჰემსტერლიმ" და „სტენბრუკმა" დაუბრკოლებლივ მიაღწიეს ბილბაოს.

მეამბოხეთა იერიშები ხარამის ფრონტზე მოგერიებულია

პარიზი, 24 აპრილი. (საქდესი). ჰავასის სააგენტოს ცნობით, გუშინ, შუადღეს, მდინარე ხარამის ფრონტზე მეამბოხეებმა ენერგიული იერიში მიიტანეს რესპუბლიკელთა პოზიციებზე მარანიოსსა, ტახუნიასა და პერალეს დელ რიოში. მეამბოხეთა ნაწილებმა, რომელთაც წინ ტანკები მიუძღოდნენ, ერთსადაიმავე დროს იწყეს შეტევა სამსავე სექტორში. ორი საათის ბრძოლის შემდეგ რესპუბლიკელთა ჯარებმა მოახერხეს მტრის ყველა იერიშის მოგერიება და კონტრშეტევაზე გადასვლა. მეამბოხეებმა უწესრიგოდ დაიხიეს უკან.

რესპუბლიკელთა არმიის ფურცლები

პარიზი, 24 აპრილი. (საქდესი). დღეს ესპანის სააგენტოს მიერ ვალენსიიდან მიღებული ცნობებით, უკანასკნელი 2 კვირის განმავლობაში რესპუბლიკელთა ავიაციამ მეამბოხეთა პოზიციებზე ჩაჰყარა 30 მილიონი ფურცელი. ეს ფურცლები დაწერილია ესპანურ, პორტუგალიურ, არაბულ, იტალიურ და გერმანულ ენებზე, მათ შორის არის ხუთი ათასი ეგზემპლარი, სადაც გადმობეჭდილია ესპანეთის მთავრობის უკანასკნელი დეკრეტი, რომლითაც მეამბოხეთა ბანაკიდან რესპუბლიკელთა მხარეზე გადმოსული თვითეული ჯარისკაცისა თუ ოფიცრისათვის უზრუნველყოფილია მისი თანამდებობის შენარჩუნება არმიაში, მთლიანად უზრუნველყოფილია მისი სამოქალაქო უფლებები და სათანადო ხელფასი.

ჩილის ელჩის მორგადოს ინციდენტი

ლონდონი, 23 აპრილი საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 22 აპრილს დილით ვალენსიის აეროდრომზე დააკავეს ჩილის ელჩი მორგადო, რომელსაც განზრახვა ჰქონდა გაფრენილიყო ესპანეთიდან. მორგადოს ბარგი გასჩხრიკეს. აღმოჩენილ იქნა რამდენიმე ათეული მილიონი პეზეტი და მთელი რიგი ძლიერ მამხილებელი დოკუმენტები, რომლებიც, როგორც ჩანს, მეამბოხეთათვის უნდა გადაეცა. ჩილის ელჩს წინადადება მიეცა, დარჩეს ვალენსიაში და იგი გადაიცა ესპანეთის ხელისუფალთა განკარგულებაში.

რეიტერის სააგენტოს ცნობებით, ინგლისის საქმეთა რწმუნებულმა ვალენსიაში მორგადოს შესთავაზა თავშესაფარი ინგლისის სამხედრო გემ „ვულვიჩზე", მაგრამ მორგადომ უარჰყო ეს წინადადება. იგი ალბათ ახლაც ვალენსიაში იმყოფება. დიპლომატიური კორპუსი ვალენსიაში იხილავს ამ ინციდენტს, მაგრამ დღემდე არავითარი გადაწყვეტილება არ არის მიღებული.

◇ ◇ ◇

რუსეთ-ბრიტანეთის სავაჭრო პალატის სხდომა

ლონდონი, 21 აპრილი (საქდესი). 20 აპრილს ლონდონში შესდგა რუსეთ-ბრიტანეთის სავაჭრო პალატის მე-21 წლიური სხდომა. პალატის თავმჯდომარე მაზერი, რომელმაც შემოიტანა რეზოლუცია აღმასრულებელი საბჭოს მოხსენების მოწონების შესახებ, მიესალმა სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელს ამხ. ბოგომოლოვს. მაზერმა იმედი გამოსთქვა, რომ კრედიტი 10 მილიონი გირვანქა სტერლინგის რაოდენობით მთლიანად იქნება გამოყენებული ვადის გასვლამდე—1937 წლის 30 სექტემბრამდე.

ამხ. ბოგომოლოვმა, რომელმაც მხარი დაუჭირა აღმასრულებელი საბჭოს მოხსენების მიღებას, აღნიშნა, რომ 1936 წელს ინგლისში საბჭოთა მთავრობამ საქონლის საფასურად გადაიხადა 17.803 ათასი გირვანქა სტერლინგი. შეთანხმებაში ფიქსირებული ციფრი გადამეტებულ იქნა 4.925 ათასი გირვანქა სტერლინგით. 1937 წლის პირველ კვარტალში საბჭოთა მთავრობამ ინგლისში იყიდა 7.368.130 გირვანქა სტერლინგის საქონელი—რაც მთელი 1933 წლის ნავაჭრ თანხას აღემატება.

უცხოეთის დელეგაციები მოემგზავრებიან სსრ კავშირში საპირველმაისო ზეიმზე

(ტელეფონით „პრავდის" ლონდონელი კორესპონდენტისაგან).

ლონდონი, 24 აპრილი (საქდესი). დღეს საბჭოთა თბომავალ „ფელიქს ძერჟინსკით" ლონდონიდან ლენინგრადს გაემგზავრნენ ესპანეთისა და დიდი ბრიტანეთის დელეგაციები, რომლებიც სსრ კავშირში მონაწილეობას მიიღებენ საპირველმაისო ზეიმში. გარდა ამისა, გემზე იმყოფება ხუთი დელეგატი ამერიკის შეერთებული შტატებიდან და კანადიდან.

ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანია ესპანეთის დელეგაცია, რომელშიაც შედის 23 კაცი. დელეგატებს შორის არიან მებრძოლები თითქმის ყველა ფრონტიდან, მეზღვაურები, მფრინავები და სხვ. დელეგატებს შორის არიან წარმომადგენელნი სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა, რომლებიც შედიან სახალხო ფრონტში: მემარცხენე რესპუბლიკელები, სოციალისტები, ანარქისტები, კომუნისტები და სხვ. დელეგატები წარმოადგენენ ესპანეთის სხვადასხვა რაიონს—კატალონიას, მადრიდს, ვალენსიას, სამხრეთ პროვინციებს. ორი დელეგატი შედარებით დიდი ხანი არ არის, რაც გადმოვიდა რესპუბლიკელთა ჯარების მხარეზე გალისიაში მეამბოხეთა ნაწილებიდან. დელეგაციაში შედის აგრეთვე ხოზე ალკალა ზამორა—ესპანეთის ყოფილი პრეზიდენტის შვილი.

ესპანეთის დელეგაციამ თქვენს კორესპონდენტს გადასცა შემდეგი განცხადება:

„ესპანეთის დელეგაცია „პრავდის" საშუალებით მხურვალე სალამს უძღვნის ესპანეთის ხალხის დიად მეგობარს—სსრ კავშირის ხალხებს, რომლებმაც სოციალიზმი ააშენეს, და განსაკუთრებით მხურვალედ მიესალმება—ამხანაგ სტალინს, სოციალისტური საზოგადოების ძლევამოსილ მშენებელთა ბელადს".

დიდი ბრიტანეთის დელეგაციაში შედის 11 კაცი. მათ შორის 3 დელეგატი გამოგზავნა ცეცხლფარეშთა და მემანქანეთა პროფკავშირმა, 1-სამხრეთ უელსის მაღაროელთა ფედერაციამ, 2-კინომექანიკოსთა პროფკავშირმა, 1-ნიუ - კესტლის პროფკავშირთა საბჭომ, 1-როზენჰემის ლეიბორისტულმა ორგანიზაციამ და პროფკავშირთა საბჭომ, 2-მოსამსახურეთა გაერთიანებულმა პროფკავშირმა და 1-მღებართა პროფკავშირმა და სსრ კავშირის მეგობართა საზოგადოების საინიციატივო ჯგუფმა დუბლინში (ირლანდია).

დიდი ბრიტანეთის დელეგაციის თავმჯდომარემ მონსლოუმ პრესის წარმომადგენლებთან გამოსთქვა თავისი რწმენა, რომ დელეგაციის გამგზავრება საბჭოთა კავშირში ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის ხალხის მასებსა და პროფმოძრაობას შორის უკეთეს ურთიერთგაგებასა და დაახლოვებას.

დელეგაციების გამცილებელთა შორის იყვნენ სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლონდონში ამხ. მაისკი და ესპანეთის ელჩი ლონდონში ასკარატე.

ი. ერმაშოვი.

საბჭოთა კავშირში

ვ. ა. ჟუკოვსკის ლიტერატურული მემკვიდრეობა

მოსკოვი, 23 აპრილი (საქდესი). გამოჩენილი პოეტის ვ. ა. ჟუკოვსკის ლიტერატურულ მემკვიდრეობას გულმოდგინედ ინახავენ საბჭოთა მუზეუმები.

ლენინგრადის სალტიკოვ - შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება პოეტის ძირითადი არქივი: ჩასაწერი წიგნაკები, წერილები და ალბომები, დღიურები, მიწერ - მოწერა პუშკინთან, გოგოლთან და სხვა მწერლებთან, ნაწარმოებთა ხელნაწერები.

მოსკოვის სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში მოიპოვება აგრეთვე მთელი რიგი მნიშვნელოვანი დოკუმენტები ჟუკოვსკის შესახებ.

მუზეუმში ინახება ჟუკოვსკის დაახლოვებით ერთნახევარი ათეული სხვადასხვა ლექსი და პოეტის დიდძალი მიწერ - მოწერა მის თანადროულ ადამიანებთან.

საინტერესოა ჟუკოვსკის წერილი თავად მ. ა. დუნდუკოვ - კორსაკოვისადმი, რომელიც პუშკინმა საცილოდ აიგდო ეპიგრამაში „მეცნიერებათა აკადემიაში ბჭობს თავადი დუნდუკი". პუშკინი დუნდუკოვის შესახებ სწერს თავის დღიურში: „მისი (უვაროვის) ამხანაგი, თანამოაზრე დუნდუკოვი (სულელია და...) მდევნის თავისი საცენზურო კომიტეტით". დუნდუკოვისადმი მიწერილ წერილში, რომელიც სალიტერატურო მუზეუმში ინახება, ჟუკოვსკი სთხოვს დუნდუკოვს, რათა მან დააჩქაროს საცენზურო ნებართვა პუშკინის თხზულებათა გამოსაქვეყნებლად.

ჟუკოვსკის ხელნაწერთა ფონდებს საბჭოთა მუზეუმებში იყენებენ ჟუკოვსკის თხზულებათა გამოცემისას. დიადი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ პოეტის თხზულებანი ბევრჯერ დაიბეჭდა. ჟუკოვსკის ლექსების უკანასკნელი გამოცემა გამოვიდა 1936 წელს „პოეტის ბიბლიოთეკაში", რომელსაც სცემს გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი".

ფარიხის თვითმფრინავი ჩავიდა ნორდვიკის კონცხზე

თვითმფრინავ შ—120-ის ქიმი, 24 აპრილი (საქდესი). 24 აპრილს ფარიხის თვითმფრინავი ჩავიდა ნორდვიკის კონცხზე და დაეშვა კოჟევნიკოვის ყურეში.

ფლოტილია მოსკოვ - ვოლგის არხისათვის

თბომავალი „იოსებ სტალინი", 23 აპრილი. დილის სრულ 9 საათზე მდინარის მოსახვევში გამოჩნდა უგლიჩი. ფლოტილიამ შეუჩერებლივ განაგრძო გზა.

თბომავალ „იოსებ სტალინზე" გრძელდება შემკვეთლისათვის მექანიზმების ჩაბარების სამუშაოები.

დღეს დილით გავიდა მესამე 300 ადგილიანი კატერი „ლევანევსკი". დღის ორ საათზე გემები მიადგნენ კალიაზინის დებარკადერს.

მრეწველობისა და რკინიგზის ტრანსპორტის მეორე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულება

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალური სამმართველო იუწყება:

1. წარმოების მეორე ხუთწლიანი გეგმა სსრ კავშირის მრეწველობაში მთლიანად, რაც უდრის 86 მილიარდ 400 მილიონ მანეთს 1937 წლისათვის — მეორე ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის, — შესრულებულია 1937 წლის პირველი აპრილისათვის, ესე იგი ვადამდე ცხრა თვით ადრე.

2. რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთზიდვის მეორე ხუთწლიანი გეგმა, რაც უდრის 300 მილიარდ ტონა-კილომეტრს 1937 წლისათვის — მეორე ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის, — შესრულებულია 1937 წლის პირველი იანვრისათვის 7,7% გადამეტებით, ესე იგი ერთი წლით და კიდევ უფრო ადრე.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალური სამმართველო.

20 აპრილისათვის დათესილია 27.237 ათასი ჰექტარი

სსრ კავშირის მიწსახკომის, საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის და კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ნაკრები ცნობები საგაზაფხულო კულტურების თესვის შესახებ 1937 წლის 20 აპრილისათვის.

(ათას ჰექტარობით)

რესპუბლიკები, მხარეები და ოლქები	სულ დათესილია: აბსოლუტ. ჰექტ.	სულ დათესილია: გეგმის %%	მათ შორის დათესილია: კოლმეურნეობების მიერ	მათ შორის იმ კოლმეურნეობების მიერ, რომელთაც ამუშავებენ მტს-ები	ინდივიდუალურ მეურნეობათა მიერ	საბჭოთა მეურნეობ. მიერ	მათ შორის იმ საბჭოთა მეურ. მიერ რომლებიც ეკუთვნის: საბჭოთა მეურნეობათა სახ. კომისარიატს	სსრ კავშირის მიწსახკომს	კვების მრეწველობის სახ. კომისარიატს
რსფსრ	14287	22	12850	11799	9	1428	931	150	201
უკრაინის სსრ	8895	61	8018	7419	7	870	498	61	195
ბელორუსიის სსრ	542	22	505	875	14	23	14	4	1
აზერბეიჯანის სსრ	152	88	134	90	6	12	5	4	—
საქართველოს სსრ	244	83	194	96	45	5	—	1	—
სომხეთის სსრ	114	36	105	56	8	1	—	1	—
თურქმენიის სსრ	220	79	214	212	1	5	3	2	—
უზბეკთა სსრ	1056	56	972	886	7	77	26	40	—
ტაჯიკთა სსრ	320	55	308	124	2	10	6	7	—
ყაზახთა სსრ	1009	19	934	676	2	73	50	18	5
ყირგიზთა სსრ	398	48	361	247	4	33	18	9	6
რსფსრ-ის მხარეები, ოლქები და ავტონომიური რესპუბლიკები:									
აზოვ-შავი ზღვის მხარე	3577	66	3061	2930	—	516	329	89	56
შორეულ-აღმოსავლეთის მხარე	49	5	47	48	—	2	1	—	1
დასავლეთ-ციმბირის მხარე	—	—	—	—	—	—	—	—	—
კრასნოიარსკის მხარე	—	—	—	—	—	—	—	—	—
ორჯონიკიძის მხარე	998	61	864	809	2	127	97	11	7
ვორონეჟის ოლქი	1607	40	1449	1418	8	156	86	24	46
აღმოსავლეთ-ციმბირის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
გორკის ოლქი	117	9	114	98	—	3	1	—	—
დასავლეთის ოლქი	416	17	410	135	—	6	2	2	2
ივანოვოს ოლქი	56	7	53	36	—	3	1	1	—
კალინინის ოლქი	237	17	236	178	—	1	—	—	1
კიროვის ოლქი	18	1	18	11	—	—	—	—	—
კუიბიშევის ოლქი	484	18	441	422	—	43	32	6	5
კურსკის ოლქი	1090	41	1038	1034	1	51	9	7	35
ლენინგრადის ოლქი	27	2	27	19	—	—	—	—	—
მოსკოვის ოლქი	673	22	626	263	—	47	6	7	25
ომსკის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
ორენბურგის ოლქი	249	9	226	226	—	23	18	4	1
სარატოვის ოლქი	858	32	739	739	—	119	90	23	6
სვერდლოვის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
ჩრდილოეთის ოლქი	24	8	24	14	—	—	—	—	—
სტალინგრადის ოლქი	2159	71	1988	1982	—	171	168	1	2
ჩელიაბინსკის ოლქი	36	1	27	27	—	9	7	—	—
იაროსლავლის ოლქი	51	6	50	30	—	1	—	—	—
თათართა ასსრ	245	12	240	210	—	5	2	2	1
ბაშკირეთის ასსრ	99	4	94	83	—	5	5	—	—
დაღესტნის ასსრ	89	31	73	57	4	11	10	1	—
ბურიატ-მონღოლეთის ასსრ	—	—	—	—	—	—	—	—	—
ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ	77	38	69	57	—	8	3	4	1
ყალმუხთა ასსრ	79	56	63	54	—	16	12	4	—
კარელიის ასსრ	—	—	—	—	—	—	—	—	—
ყირიმის ასსრ	208	54	145	145	—	63	24	11	5
მარიისკის ასსრ	8	8	8	6	—	—	—	—	—
მორდოვის ასსრ	105	12	104	104	—	1	1	—	—
ვოლგის მხარის გერმანელთა ასსრ	528	50	498	492	—	35	30	3	—
ჩრდილო-ოსეთის ასსრ	13	13	12	11	—	1	—	—	—
უდმურტთა ასსრ	—	—	—	—	—	—	—	—	—
საჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ	42	16	38	27	—	4	2	1	1
ჩუვაშეთის ასსრ	74	13	73	49	—	1	—	—	1
იაკუტიის ასსრ	—	—	—	—	—	—	—	—	—
უკრაინის სს რესპუბლიკის ოლქები და ავტ. რესპუბლიკები:									
ვინიცის ოლქი	1185	66	1154	1064	2	29	2	—	27
დნეპროპეტროვსკის ოლქი	1560	63	1431	1382	1	128	104	12	12
დონეცის ოლქი	1216	68	919	914	—	297	163	2	4
კიევის ოლქი	1288	57	1230	1085	2	56	5	4	47
ოდესის ოლქი	1265	60	1076	1049	—	189	149	15	19
ხარკოვის ოლქი	1691	66	1535	1382	1	155	72	8	75
ჩერნიგოვის ოლქი	527	38	513	397	1	13	3	2	8
მოლდავეთის ასსრ	162	56	160	146	—	2	—	—	2
ყაზახთა სსრ-ის ოლქები:									
აქტიუბინსკის ოლქი	125	—	123	60	—	2	2	—	—
ალმა-ატის ოლქი	140	—	130	87	1	9	4	5	—
აღმოსავლეთ კაზახსტანის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
დასავლეთ-კაზახსტანის ოლქი	343	—	315	223	—	28	22	—	—
ყარაგანდის ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
კუსტანაის ოლქი	52	—	51	32	—	1	1	—	—
ჩრდილო-კაზახსტანის ოლქი	1	—	1	—	—	—	—	—	—
სამხრეთ-კაზახსტანის ოლქი	348	—	314	274	1	33	21	7	5
უზბეკთა სსრ ავტ. რესპუბლიკა:									
ყარა-კალპაკის ასსრ	12	—	12	—	—	—	—	—	—
საქართველოს სსრ ავტ. რესპუბლიკები:									
აჭარის ასსრ	2	—	1	—	1	—	—	—	—
აფხაზეთის ასსრ	6	—	4	1	2	—	—	—	—
აზერბეიჯანის სსრ ავტ. რესპუბლიკა:									
ნახიჩევანის ასსრ	12	—	11	—	1	—	—	—	—
სულ სსრკ-ში	27237	29	24595	21980	105	2587	1548	297	408
გეგმის %	—	—	29	30	13	27	30	37	50
იყო 1937 წლის 15 აპრილისათვის	19711	21	17678	15997	70	1965	1220	215	306
იყო 1936 წლის 20 აპრილისათვის	16642	18	14812	12603	219	2111	1044	235	358

○

შენიშვნა: კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობებში არ არის დანაწილებული უკრაინის სს რესპუბლიკის ოლქების მიხედვით — 1.064 ჰექტარი. სსრ კავშირის მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობებში არ არის დანაწილებული უკრაინის სს რესპუბლიკის ოლქების მიხედვით — 18.122 ჰექტარი და ყაზახთა სს რესპუბლიკის ოლქების მიხედვით — 6.882 ჰექტარი.

რაიონული პარტიული კონფერენციები

ამბროლაური

(ტელეგრაფით „კომუნისტის" რედაქციას)

20 აპრილს გაიხსნა საქ. კ. პ. (ბ) ამბროლაურის რაიონის პარტკონფერენცია.

კონფერენციამ აირჩია ხელმძღვანელი ორგანოები.

საპატიო პრეზიდიუმში მქუხარე ტაშით არჩეულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიურო დიდი სტალინის მეთაურობით, აგრეთვე ამხ. ეჟოვი, ბერია, დიმიტროვი, ტელმანი, ხოზე დიასი და დოლორეს იბარური.

საღამოს სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) ამბროლაურის რაიკომის მდივნის საანგარიშო მოხსენება.

მოხსენების ირგვლივ გაშართული კამათი ორ დღეს გაგრძელდა. კამათში გამოვიდა 39 დელეგატი.

გამოსული ამხანაგები მკაცრად აკრიტიკებდნენ პარტრაიკომის მუშაობის ნაკლოვანებებს, ამჟღავნებდნენ ძირეული პარტორგანიზაციების პარტიულ - პოლიტიკურ მუშაობაში დაშვებულ შეცდომებს და ამასთანავე სახავდნენ ღონისძიებებს პარტიული მუშაობის ახლებურად გარდაქმნისათვის.

კამათის დასასრულ, კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის წარმომადგენელი ამხ. რაჟდენ მელაძე. მოსმენილ იქნა მომხსენებლის საბოლოო სიტყვა. სათანადო ღონისძიებათა მიღების შემდეგ კონფერენცია გადადის არჩევნებზე.

კონფერენციამ ფარული კენჭისყრით აირჩია რაიკომის ახალი პლენუმი 35 წევრისა და 8 კანდიდატის შემადგენლობით, აგრეთვე საქ. კ. პ. (ბ) X ყრილობის დელეგატები.

O

24 აპრილს კონფერენციის დამთავრების შემდეგ შესდგა ახლად არჩეული რაიკომის პლენუმი. პლენუმმა ფარული კენჭისყრით აირჩია რაიკომის ბიურო 6 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით. ასევე ფარული კენჭისყრით რაიკომის მდივნად არჩეულ იქნა ამხ. გრ. ჭელიძე და რაიკომის მდივნის მოადგილედ კ. კბილაძე.

საგარეჯო

21 მარტს გაიხსნა საქ. კ. პ. (ბ) საგარეჯოს VI სარაიონო პარტიული კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 58 დელეგატი. კონფერენციამ საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად აირჩია პოლიტბიურო ამხანაგ სტალინის მეთაურობით და ამხ. ბერია, დიმიტროვი და ტელმანი.

რაიკომის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) საგარეჯოს რაიკომის მდივანი ამხ. ლ. სალუქვაძე. ამხ. სალუქვაძე თავის მოხსენების პირველ ნაწილში შეეხო პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობას, პარტიული აგიტაციისა და პროპაგანდის საქმის მდგომარეობას რაიონში და აღნიშნა, საგარეჯოს პარტორგანიზაციაში შინაპარტიული დემოკრატიის უხეში დარღვევის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ჩახშობის მრავალი შემთხვევა.

თანამომხსენება გააკეთა რაიკომის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ი. გულორდავამ. აღნიშნულ მოხსენებათა გარშემო გაშართულ კამათში გამოვიდა 32 დელეგატი.

კამათის დამთავრებისა და მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ რაიკომი გადადის არჩევნებზე.

რაიკომის პლენუმი არჩეულ იქნა 17 წევრისა და 5 კანდიდატის, ხოლო სარევიზიო კომისია — კაცის შემადგენლობით. აგრეთვე არჩეულ იქნენ საქართველოს კ. პ. (ბ) X ყრილობის დელეგატები—3 გადამწყვეტი ხმით და 1 სათათბიროთი.

23 აპრილს შესდგა ახლად არჩეული რაიკომის პირველი პლენუმი.

პლენუმმა ფარული კენჭისყრით აირჩია ბიურო 5 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით.

საქ. კ. პ. (ბ) საგარეჯოს რაიკომის მდივნად ფარული კენჭისყრით ერთხმად აირჩიეს ამხ. ლ. სალუქვაძე და რაიკომის მდივნის მოადგილედ ამხ. ნ. გიორგაძე.

ბაღდათი

(ტელეგრაფით „კომუნისტის" რედაქციას)

ორი დღეს მიმდინარეობდა ბაღდათის რაიონის პარტკონფერენცია.

22 აპრილს კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე აირჩიეს რაიკომის ახალი პლენუმი, სარევიზიო კომისიის წევრები და საქ. კ. პ. (ბ) X ყრილობის დელეგატები—2 გადამწყვეტი ხმით და 1 სათათბიროთი.

ამავე დღეს მოწვეულ იქნა რაიკომის ახალი პლენუმი, რომელმაც ფარული კენჭისყრით აირჩია რაიკომის ბიურო 5 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით.

პლენუმმა საქ. კ. პ. (ბ) ბაღდათის რაიკომის მდივნად ფარული კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამხ. ლ. დუმბაძე, მდივნის მოადგილეთ პ. ტორჩინავა.

ლაშქრობაში ჩაბმის შემდეგ

დონბასის ქვანახშირისა და მეტალურგიული მრეწველობის სტახანოველთა მიმართვა ახალდაბის სახერხი ქარხნის პარტიულმა და უპარტიო ბოლშევიკებმა დაამუშავეს 2 მარტს. მაშინ ქარხანას იანვრის გეგმა შესრულებული ჰქონდა მხოლოდ 73 პროცენტით, თებერვლისა 95-ით. დონბასელთა მიმართვის დამუშავების შემდეგ ქარხნის სტახანოველებმა ფართოდ გაშალეს შეჯიბრება. ქარხნის კოლექტივმა გააუმჯობესა მუშაობა. მარტის გეგმა ქარხანამ 141 პროცენტით შეასრულა. საამშენებლო ბრიგადის ბრიგადირმა, სტახანოველმა ისაკ კურტანიძემ გადააჭარბა ნაკისრ ვალდებულებას. მისმა ბრიგადამ მარტის გეგმა შეასრულა 144 პროცენტით. მთლიანად ქარხანამ პირველი კვარტალის გეგმა შეასრულა 103,5 პროცენტით. გადიდდა ნედლეულიდან პროდუქციის გამოსავალიც.

ქარხნის კოლექტივი პირობას იძლევა, რომ 1937 წლის გეგმას რვანახევარ თვეში შეასრულებს.

აკ. სურგულაძე.

ყვარლის რაიონის კომუნისტთა კრება

17 აპრილს გაიხსნა ყვარლის რაიონის პარტიული ორგანიზაციის სარაიონო კრება.

პარტიული კრების მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ამხ. ვ. ბაქრაძე.

საპატიო პრეზიდიუმში სარაიონო პარტიულმა კრებამ მქუხარე ტაშით აირჩია საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიურო ამხ. სტალინის მეთაურობით და ამხ. ლ. ბერია.

საქ. კ. პ. (ბ) ყვარლის რაიკომის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ჩიხლაძემ.

ამხ. შ. ჩიხლაძემ ვრცლად დაახასიათა ყვარლის პარტიულ ხელმძღვანელთა მიერ საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში 1936 წელს დაშვებული შეცდომები. ყვარლის რაიონის ძველი ხელმძღვანელები ამხ. აფციაური და თანადილაშვილი დაეყრდნენ თვითდინებას და საფრთხეში ჩააყენეს რაიონში კოლმეურნეობების მშენებლობის საქმე. რაიონის კოლმეურნეობათა უმრავლესობაში ირღვეოდა სტალინური საკოლმეურნეო წესდება, მაგრამ რაიონის ხელმძღვანელობა ამის საწინააღმდეგოდ არავითარ ზომებს არ ღებულობდა.

მომხსენებელი განსაკუთრებით შეჩერდა სოფსაბჭოების მუშაობაზე. სოფსაბჭოებში ზოგან უხეშად არღვევენ დემოკრატიზმის პრინციპს. მაგალითად, 1934 წელს საბჭოების სარაიონო მესამე ყრილობაზე არჩეული პლენუმის 57 წევრიდან 14 კომპრომეტირებულია, პრეზიდიუმის 17 წევრიდან 12 კომპრომეტირებულია. დანაგვიანებული იყო ყვარლის რაიაღმასკომის აპარატი. რაიაღმასკომის აპარატში მოკალათებული იყვნენ: ტროცკისტი ხეცურიანი, მენშევიკების გვარდიის ერთი - ერთი აქტიური მომუშავე ამირიძე და გადაგვარებული, გახრწნილი ადამიანი დიხამინძეა. მომხსენებელი მკაცრად აკრიტიკებს რაიმიწგანის მუშაობასაც.

მოხსენების მეორე ნაწილში ამხ. ჩიხლაძე ეხება ყვარლის რაიკომის მიერ ჩატარებულ პარტიულ - პოლიტიკურ მუშაობას.

კამათის შემდეგ კრება გადავიდა არჩევნებზე. რაიკომის პლენუმი არჩეული იქნა 17 წევრისა და 5 კანდიდატის შემადგენლობით. სარევიზიო კომისიაში აირჩიეს 5 ამხანაგი. საქ. კ. პ. (ბ) ყრილობის დელეგატებად აირჩიეს ამხ. შ. ჩიხლაძე და ბაიდოშვილი გადამწყვეტი ხმით, ამხ. დ. სამხარაძე — სათათბიროთი.

18 აპრილს შესდგა ყვარლის რაიკომის პლენუმი. პლენუმზე ფარული კენჭისყრით აირჩიეს რაიკომის ბიურო — 5 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით. პლენუმმა რაიკომის მდივნად ერთხმად აირჩია ამხ. შ. ჩიხლაძე, რაიკომის მდივნის მოადგილედ ი. საძაგლიშვილი და კულტპროპგანყოფილების გამგედ დაამტკიცა ამხ. ასათიანი.

შ. გაფრინდაშვილი.

თბილისის დეპოს ელექტროსამქროს სტახანოველმა, ლუზის შემომზრავნელმა ამხ. რაისა ბელოკონევამ მარტში გეგმა შეასრულა 250 პროცენტით, გამოიმუშავა 510 მანეთი.

სურათზე: ამხ. რ. ი. ბელოკონოვა.

ფოტო ბუდეშტკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ბოლშევიკურად ვუხელმძღვანელოთ ბეჭდვით სიტყვას

ბოლშევიკები ყოველთვის დიდად აფასებდნენ ბეჭდვითი სიტყვის ძალას. ჯერ კიდევ მუშათა მოძრაობის გარიჟრაჟზე რუსეთში იმ წლებში, როდესაც ბოლშევიზმს საფუძვლები ეყრებოდა, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი სწერდა: „ჩვენ უწინარეს ყოვლისა გვესაჭიროება გაზეთი, უიმისოდ შეუძლებელია პრინციპულად მტკიცე და ყოველმხრივი პროპაგანდისა და აგიტაციის სისტემატური წარმოება, რომელიც შეადგენს სოციალ-დემოკრატიის მუდმივსა და მთავარ ამოცანას..." შემდგომ წლებშიც ლენინი არაერთხელ დაბრუნებია ამ აზრს, ნერგავდა რა პარტიაში ბეჭდვითი სიტყვის მნიშვნელობისა და როლის სწორ გაგებას. ამხანაგი სტალინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა და უთმობს ბეჭდვით სიტყვას. ის აკვანთან ედგა „პრავდას", რომლის ოცდახუთი წლისთავი 5 მაისს სრულდება; ლენინთან ერთად ის იყო ცენტრალური პარტიული გაზეთის შემქმნელი და რედაქტორი.

ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა სულ სხვადასხვა ვითარებაში ღირსეულად ასრულებდა პარტიის ფრიად პასუხსაგებ ამოცანებს. ჩვენს პრესას მასებში შეჰქონდა ბოლშევიკური სიმართლის მგზნებარე სიტყვები თვითმპყრობელობასთან გააფთრებული ბრძოლის წლებში და სამოქალაქო ომის პერიოდში, როდესაც რუსეთის მემამულეებმა და მეფაბრიკეებმა გერმანელ, იაპონელ და სხვა ინტერვენტებთან ერთად დასძრეს თავის დაქირავებულთა ურდოები საბჭოთა მიწა-წყლისკენ. ჩვენი პრესა ეხმარებოდა პარტიას მის ბრძოლაში ოპორტუნიზმის ყველა ნაირსახეობასთან, ტროცკისტებთან და მემარჯვენე გარეწრებთან. ჩვენმა ბეჭდვითმა სიტყვამ დიდი როლი ითამაშა სახალხო მეურნეობის აღდგენასა და რეკონსტრუქციაში და სტალინური ხუთწლედების განხორციელებაში.

დიდად აფასებდნენ რა ბეჭდვით სიტყვას, მშვენივრად ესმოდათ რა მისი ძალა და გავლენა მასებზე, ლენინი და სტალინი თვითონ ხელმძღვანელობდნენ გაზეთებს თვითმპყრობელობაზე იერიშის მისატანად პარტიისა და მუშათა კლასის ძალების თავმოყრისა და შემჭიდროების წლებში, დიდი პროლეტარული რევოლუციისათვის მზადების პერიოდში. ლენინი და სტალინი გაზეთების ხელმძღვანელობას აკისრებდნენ თავის უახლოეს თანამებრძოლებს, ავტორიტეტიან და კომუნიზმის საქმის ერთგულ ადამიანებს.

ბევრმა პარტიულმა ხელმძღვანელმა უკანასკნელ წლებში ბეჭდვით სიტყვას სხვანაირად დაუწყო ყურება, მათ ამ საკითხში იწყეს ჩამოშორება ბოლშევიკური პოზიციებიდან. ბეჭდვითი სიტყვა აღმოჩნდა მეორეხარისხოვან მუშაკთა ხელში, რომელნიც ამასთან მოკლებულნი იყვნენ ხელმძღვანელი ამხანაგების მხარდაჭერასა და დახმარებას. ეს იმიტომ მოხდა, რომ პარტიულმა ამხანაგებმა იწყეს ბეჭდვითი სიტყვის შეუფასებლობა და მისდამი ხალისის დაკარგვა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მთელი სიმკაცრით დაჰგმო არაბოლშევიკური დამოკიდებულება ბეჭდვითი სიტყვისადმი. მაგრამ, ახლაც კი, პლენუმის შემდეგ, ჩვენ მოწმენი ვართ განურჩეველი უსულგულო, ანტიპარტიული დამოკიდებულებისა ბეჭდვითი სიტყვის ხელმძღვანელობისადმი და მისი გამოყენებისადმი.

ჩერნიგოვის ოლქში საქმე იქამდე მიდის, რომ პარტიის საოლქო კომიტეტის თვალწინ ჩერდება გაზეთების გამოშვება. გაზეთი „სტახანოველ-კონოპლევოდი" (გრემიაცკის რაიონი) ათი დღეა არ გამოდის; გაზეთი „სტალინსკი შლიახი" თითქმის ერთი თვეა არ გამოდის; პუტივლსკის, დობრიანსკის, მალო-დევიცკის რაიონთა გაზეთები დეკადობით არ გამოდიან. ჩერნიგოვის ოლქკომში ეს იციან, მაგრამ სჯერდებიან ბიუროკრატულ მიმოწერას. განა ეს არ მოწმობს, რომ ჩერნიგოვის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელებს დაუკარგავთ ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვისადმი ხალისი?!

ამხანაგ სტალინს ეკუთვნის ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის როლის, როგორც პარტიის ყველაზე ბასრი და ძლიერი იარაღის, კლასიკური განსაზღვრა. ზოგიერთი პარტიული მუშაკი ხშირად იმეორებს ამ ფორმულას, მაგრამ მათ არ შეუთვისებიათ მისი ღრმა აზრი.

გაზეთები ჩვენი პარტიის ყველაზე ძლიერ და ბასრ იარაღად მაშინ ხდებიან, როდესაც მათ სათავეში დგანან ავტორიტეტიანი და პარტიის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული ადამიანები. ხოლო როცა გაზეთს, თუნდაც იგი ამათუიმ პარტიული კომიტეტის ორგანოდ ითვლებოდეს, მეორეხარისხოვანი, ნაკლებადგავლენიანი, არასაკმაოდ მტკიცე მუშაკები ხელმძღვანელობენ, მაშინ ბეჭდვითი სიტყვის ორგანოს ძალა მცირდება, მისი ზემოქმედება და გავლენა მასებზე კლებულობს.

ც. კ-ის პლენუმის შემდეგ უკვე თვენახევარზე მეტმა განვლო. მაგრამ დღემდე ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში ვერ გაიგეს, რომ გაზეთებს სათავეში უნდა ჩაუყენონ ავტორიტეტიანი, პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტისადმი ბოლომდე ერთგული, პოლიტიკურად კვალიფიციური ბოლშევიკები. მოიპოვება ყოვლად აღმაშფოთებელი ფაქტები. დაღესტანში ყუმუხურ ენაზე გამოდის გაზეთი „ლენინ ელუ" (დაღესტნის ოლქკომის ორგანო). ამ გაზეთს რედაქტორობს ვინმე აბაკაროვი, რომელიც ჯერ კიდევ შარშან ნოემბერში გარიცხეს პარტიიდან. ასე „გაიგეს" დაღესტანში პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მითითება ბეჭდვითი სიტყვისადმი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის გაძლიერებაზე და საუკეთესო პარტიელებით ჩვენი გაზეთების რედაქციების განმტკიცებაზე.

ბეჭდვითი სიტყვა მაშინ არის პარტიის ყველაზე ძლიერი და ბასრი იარაღი, როდესაც იგი თავისი შინაარსით ღრმად იდეურია, პრინციპულია, პოლიტიკურად გამახვილებულია, როდესაც მისი პუბლიცისტური და საინფორმაციო მასალები სავსებით და მთლიანად შეესაბამებიან იმ ამოცანებს, რომლებიც მოცემულ ეტაპზე პარტიის და ქვეყნის წინაშე დგანან, როდესაც ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით სწარმოებს მშრომელთა ფართო მასების ნამდვილი პოლიტიკური აღზრდა. ჩვენი გაზეთების უმრავლესობა, რომ ამ თვალსაზრისით განვიხილოთ, ისინი ჯერ კიდევ სრულიადაც არ იმყოფებიან მდგომარეობის სიმაღლეზე. ისტორიული მობრუნება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რის თანამედროვენიც ჩვენა ვართ, ჯერ კიდევ ვერ ჰპოულობს ღირსეულ და ღრმა ასახვას პრესაში.

გაზეთები პარტიის ყველაზე ძლიერ და ბასრ იარაღად მაშინ ხდებიან, როდესაც ისინი ათასი ძაფებით არიან დაკავშირებული მუშათა კლასთან, კოლმეურნე გლეხობასთან, ინტელიგენციასთან, პარტიულ და უპარტიო აქტივთან. ამ ცოტა ხნის წინათ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალურ დადგენილებაში აღნიშნა, რომ გაზეთები „პრავდა სევერა" (არხანგელსკი) და „გორკოვსკაია კომუნა" თავის ფურცლებს ავსებენ რედაქციის შტატის მუშაკების მდარე მასალით. პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს, სპეციალისტებსა და სტახანოველებს, მასწავლებლებს არ იზიდავდნენ სათანამშრომლოდ. [illegible] ამას მოჰყვა „პრავდა [illegible]" და „გორკოვსკაია კომუნას" [illegible] [illegible]ი დონის ჩამოქვეითება. ის, რაც არხანგელსკისა და გორკის გაზეთების შესახებ აღინიშნა, ითქმის მრავალი ჩვენი გაზეთის შესახებ. მაშ, მშრომელთა მასებთან თავისი კავშირურთიერთობის ყოველნაირად გაფართოვება და განმტკიცება და ავტორთა ახალი კადრების მოზიდვა კერძოდ, მზარდ მუშა და გლეხკორესპონდენტთა წრიდან—ბეჭდვითი სიტყვის თითეული ბოლშევიკური ორგანოს პირდაპირი მოვალეობაა.

პარტიის ყველაზე ბასრი და ძლიერი იარაღი ის გაზეთები არიან, რომელთაც გააკეთეს ყველა დასკვნა იაპონელ-გერმანელ-ტროცკისტ აგენტთა პროცესებიდან, რომელთაც ისწავლეს ხალხის მტრების გამოცნობა, რომელნიც აწარმოებენ თავის მკითხველთა აღზრდას ნამდვილად რევოლუციური სიფხიზლის სულისკვეთებით.

თავის მამხილებელ საქმიანობაში ბევრი გაზეთი ხშირად მუშტებს იქნევს ჩხუბის შემდეგ, როდესაც ხალხის მტრები, მავნებლები უკვე დაჭერილი, გამოაშკარავებული არიან. „ლესნაია პრომიშლენოსტმა" ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში მოათავსა შენიშვნა „ხალხის მტრები სახტყეტექგამომცემლობაში". სახტყეტექგამომცემლობაში რომ მდგომარეობა რიგზე ვერ არის, ამაზე ერთი თვის წინათ ლაპარაკი იყო სახალხო კომისარიატის აქტივის კრებაზე, ორი კვირის წინათ ეს იყო სპეციალური განხილვის საგანი პარტიულ კრებაზე. სატყეო მრეწველობის ცენტრალურმა გაზეთმა კარგახნის ცნობილ რამეებზე დიდის დაგვიანებით „მოგვცა სიგნალები", თუმცა წერილები, რომ სახტყეტექგამომცემლობაში მდგომარეობა რიგზე ვერ არისო, ამავე გაზეთს არაერთხელ მიუღია. უზრუნველობა, უყურადღებობა მშრომელთა სიგნალებისადმი ბეჭდვით სიტყვაში ჯერ არ არის აღმოფხვრილი.

ახლოვდება ბეჭდვითი სიტყვის დღე—ჩვენი პარტიის მასწავლებლების ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი „პრავდის" ოცდახუთი წლისთავი. ეს—მნიშვნელოვანი მოვლენაა. ეს ნიშანსვეტი ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის გზაზე ისე უნდა აღინიშნოს, რომ თვითეულმა მშრომელმა გაიგოს ის კოლოსალური ბრძოლა, რომელიც გასწია ბოლშევიკების პარტიამ მასობრივი მუშური, კომუნისტური ბეჭდვითი სიტყვის შესაქმნელად. ამ დღეს უნდა ვუამბოთ მშრომელებს, თუ როგორ გვასწავლის ლენინ-სტალინის პარტია გამოვიყენოთ ბეჭდვითი სიტყვა კომუნიზმის საქმისათვის. დაე, მილიონობით მკითხველებმა მკაცრად და სამართლიანად გააკრიტიკონ ჩვენი გაზეთები. ბეჭდვითი სიტყვის მუშაკის მოვალეობაა ყოველნაირად წაახალისოს ეს კრიტიკა, გააკეთოს იქიდან ყველა დასკვნა თავისი შემდგომი მუშაობისათვის.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლა ჩვენი ბეჭდვითი სიტყვისაგან მოითხოვს მთელი პროპაგანდისტული სააგიტაციო და ორგანიზაციული მუშაობის ისეთ მაღალ ხარისხს, როგორსაც არ იცნობდა იგი უკანასკნელ წლებში. იმაზე, თუ როგორ უხელმძღვანელებენ ბეჭდვით სიტყვას პარტიული ორგანიზაციები, დამოკიდებულია იმ გრანდიოზული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა, რომლებიც დააყენა ჩვენი პრესის წინაშე ლენინ-სტალინის პარტიამ და რომელთა წარმატებითი გადაწყვეტა ბოლშევიკურ ბეჭდვით სიტყვას ევალება.

„პრავდის" მოწინავე, 25/IV

ნემო

გესტაპო—ომის ფაშისტური მომზადების იარაღი*

გერმანიის ფაშიზმის ჯაშუშური სისტემა შეიცავს არა მარტო წმინდა სამხედრო დაზვერვას; იგი უშუალოდ უწევს მომსახურებას ფაშისტების მიერ ომის მომზადებას.

გერმანიის არმიის ჯაშუშური აპარატის ხელმძღვანელად პოლკოვნიკ ნიკოლაის დაბრუნება ოდნავაც არ მოასწავებდა შპიონაჟის ძველ გერმანულ სისტემაზე დაბრუნებას. არა არმია, არამედ გესტაპო წარმოადგენს ამჟამად ფაშისტური ჯაშუშური სისტემის ღერძს, რომლიდანაც გამოდის სხვადასხვა სპეციალური შტოები. არმიის ჯაშუშური აპარატი ვიწროდ არის კარჩაკეტილი. პოლკოვნიკ ნიკოლაის უფლება—გამოიყენოს გესტაპოს აპარატი—ახასიათებს არა მარტო გერმანიის სამხედრო ჯაშუშობის განსაკუთრებულ გაფართოვებას ომამდელ დროსთან შედარებით, არამედ გესტაპოს საქმიანობის მკაფიოდ გამოსახულ სამხედრო ხასიათსაც.

გერმანიის ფაშიზმის შპიონაჟი საზღვარგარეთ სხვადასხვა ხაზებით მიმდინარეობს. შპიონაჟს ეწევიან საგარეო საქმეთა სამინისტრო, სამხედრო და პროპაგანდის სამინისტროები, როზენბერგის „საგარეო პოლიტიკური განყოფილება", „ნაციონალ-სოციალისტური პარტიის საზღვარგარეთული ორგანიზაცია", რომელსაც ბოლე ხელმძღვანელობს, „გერმანიის მუშათა ფრონტის" საზღვარგარეთის ჯგუფები, ფაშისტური ახალგაზრდობა და სტუდენტობა. იმ ფაქტს, რომ გერმანიის გარეთ 30—35 მილიონი გერმანელი ცხოვრობს, გერმანიის ფაშიზმი ფართოდ იყენებს შპიონაჟის მიზნებისათვის. გერმანული უმცირესობის სუდეტელ, ბალტიელ, ელზასელ, შვეიცარიელ გერმანელთა წარმომადგენლების ასობით პროცესებმა ცხადჰყო, თუ როგორ იყენებს გესტაპო თავისი მიზნებისათვის საზღვარგარეთ მცხოვრებ გერმანელებს.

გერმანიის შპიონაჟისათვის საზღვარგარეთ მცხოვრებ გერმანელთა გამოყენებაზე კიდევ მეტი მნიშვნელობა აქვს ამათუიმ მოცემულ ქვეყანაში ცალკეული პირებისა და ჯგუფების გამოყენებას. ასეთები არიან საფრანგეთში „მებრძოლი ჯვრები", ბელგიაში რექსისტები, ფინეთში ლაპუასელები, შვეიცარიაში „ფრონტისტები", ესტონეთში ვაპსები, ლიტვაში „მეხის ჯვრები" რუმინეთში „რკინის გვარდია", სკანდინავიაში ნაციონალ-სოციალისტები და სხვ. ყველა ეს ჯგუფები ბერლინის ძლიერი ორგანიზაციული, პოლიტიკური და მატერიალური გავლენის ქვეშ იმყოფებიან და მისი მითითებებით მუშაობენ. მათი წევრები მეტნაწილად ეკუთვნიან სამხედრო წრეებს ან ნახევრადსამხედრო კავშირებს და დაკავშირებული არიან სახელმწიფო აპარატის ზედაფენასთან, კერძოდ პოლიციასა და არმიასთან. ათობით პროცესებმა ცხადჰყო ამ კავშირის გამოყენება გერმანიის ფაშიზმის ინტერესებისათვის.

სულ ცოტა ხნის წინათ გამოაშკარავდა გერმანიის ბუქარესტელი ელჩის კავშირი „რკინის გვარდიასთან". ბუდაპეშტში გერმანიის ელჩ მაკენზენს მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა უნგრეთის სათადარიგო ოფიცრების ორგანიზაცია „მოვესთან" და ცდილობდა მისი დახმარებით მოეწყო პუტჩი. ეს ორგანიზაცია შესდგება ყოფილი ოფიცრებისაგან, რომელნიც ახლაც აწარმოებენ ინტენსიურ მუშაობას არმიაში და დაკავშირებული არიან უმაღლეს სამხედრო და მმართველ წრეებთან. შვეციაში გერინგის სიძეს, გრაფ როზენს კავშირი აქვს ფაშისტურ მოძრაობასთან და არმიისა და მთავრობის უმაღლეს წრეებთან. შვეიცარიაში, ბევრი სხვა ოფიცრის გარდა, შვეიცარიის ოფიცერთა საზოგადოების პრესის ბიუროს ხელმძღვანელი გაუზემანიც გერმანიის ჯაშუში აღმოჩნდა. ამ ქვეყანაში მუდამ გაბმულია ძაფები შვეიცარიაში მცხოვრები გერმანელი ფაშისტებიდან შვეიცარიელ ფაშისტებამდე და იქიდან არმიამდე.

ესპანეთში — კატალონიაში მარცხით დამთავრებული სამხედრო-ფაშისტური ამბოხების ორგანიზატორი გენერალი გოდედი ვინმე გუნცის „კარგი მეგობარი" იყო. ეს გუნცი ხელმძღვანელობდა გერმანიის სამხედრო შპიონაჟს ესპანეთში და ხელს უწყობდა სამხედრო-ფაშისტური ამბოხების მომზადებას. თავისი მოქმედების შესანიღბავად გუნცმა ბარსელონაში ქარის ძრავების ფირმა გახსნა. მისი კომპანიონი იყო ესპანელი ფაშისტი ალვარო დე მალიბრანი, რომლის ძმაც ესპანეთის სამხედრო სამინისტროში მუშაობდა.

გერმანიის დიპლომატები ყველგან თავისი მდგომარეობით ფარავენ გერმანიის ფაშიზმის საიდუმლო ძირგამომთხრელ საქმიანობას. გესტაპოს განყოფილებანი, რომელნიც ყველა ქვეყანაში არსებობენ, ნავსადგურებში მუშაობისათვის იყენებენ გერმანიის კონსულთა დიპლომატიურ ხელშეუხებლობას. გესტაპოს აგენტმა ვეზემანმა აშკარად აღიარა ციურიხში სასამართლოს წინაშე თავისი კავშირი გერმანიის ელჩებთან პარიზსა და ლონდონში. ამ პროცესის გამო „მანჩესტერ გარდიანი" სწერდა:

„გესტაპოს მოქმედება განსაკუთრებით საშიში ხდება იმის გამო, რომ იგი, როგორც დამტკიცებულია, თანამშრომლობს გერმანიის დიპლომატებთან. ეს იმას ნიშნავს, რომ ელჩებისა და კონსულების იმუნიტეტს და სამსახურებრივ მდგომარეობას მთელ მსოფლიოში იყენებენ როგორც შირმას ამ ორგანიზაციის საქმიანობის დასაფარავად".

გერმანიის შპიონაჟის მიზნები და მიმართულება გერმანიის ფაშიზმის სამხედრო გეგმებს ემთხვევა. საქმე ეხება იმას, რომ განახორციელონ ანექსიების პროგრამა ევროპის ძალდატანებით გადანაწილებისა და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მიზნით, პროგრამა, რომელიც ჰიტლერმა გამოაცხადა თავის წიგნში „ჩემი ბრძოლა".

საფრანგეთში, ინგლისსა და ჩეხოსლოვაკიაში აგრეთვე სწარმოებს ინტენსიური შპიონაჟი გერმანიის სასარგებლოდ. ამასთან ბაზას ინგლისის წინააღმდეგ ჯაშუშობისათვის წარმოადგენს სკანდინავია, ხოლო საფრანგეთის წინააღმდეგ — შვეიცარია. ისეთი ქვეყნებიც კი, როგორიც არის ბელგია, ჰოლანდია და შვეიცარია, რომლებსაც ჰიტლერმა ნეიტრალიტეტის გარანტია მისცა, ავსილია გესტაპოს აგენტებით. ეს მოვლენა გასაგები ხდება, თუ გავითვალისწინებთ გერმანიის გენერალური შტაბის გეგმებს—ომის შემთხვევაში. გერმანელ ნაციონალ-სოციალისტთა კატოვიცის პროცესმა და დასავლეთ უკრაინაში როზენბერგის მოკავშირის სკოროპადსკის ფარული ორგანიზაციის ამასწინათ გამოაშკარავებამ ცხადჰყო, რომ გერმანიის ფაშიზმი თავის „მეგობრებსაც" კი არ ინდობს, რამდენადაც მათთან კიდევ გასასწორებელი აქვს ზოგიერთი ანგარიში.

გესტაპოს აპარატი საზღვარგარეთ მუშაობისათვის აგებულია ჯაშუშური მუშაობის ძირითად მიმართულებებთან შეფარდებით. ყველა საზღვარგარეთელი აგენტი გაერთიანებულია სპეციალურ ინსპექციებად, რომელნიც გერმანიის მოსაზღვრე ქალაქებში იმყოფებიან. საფრანგეთში მუშაობის ინსპექცია იმყოფება ფრეიბურგში, საარბრიუკენსა და ცვეიბრიუკენში; ბელგიასა და ჰოლანდიაში მუშაობისათვის—აახენში; ინგლისის ინსპექცია — ჰამბურგში; ჩეხოსლოვაკიისა — პლაუენსა და შანდაუში, ხოლო ამ ქვეყნების მუშაობის ხელმძღვანელი ინსპექცია —დრეზდენში. ავსტრიის ინსპექცია იმყოფება პასაუში, როზენჰეიმსა და კემპტენში (ხელმძღვანელი ინსპექცია მიუნხენში). აღმოსავლეთში მუშაობის ინსპექცია იმყოფება ბრესლავლში, გლეივიცსა და ოდერის ფრანკფურტში, აღმოსავლეთ ევროპაში მუშაობის ინსპექცია დანციგში, ტილზიტსა და კენიგსბერგში. ამ ექვს ინსპექციას აერთიანებს ბერლინის ცენტრალური ინსპექცია. ბერლინშივეა ინსპექცია სსრ კავშირში ჯაშუშური მუშაობისათვის. სხვათა შორის, ამით აიხსნება, რომ ბერლინში ხშირად იმართება გესტაპოს ხელმძღვანელთა შეხვედრები მათს ტროცკისტ აგენტებთან საბჭოთა კავშირში, სედოვის თანდასწრებით. საჭიროა აგრეთვე მოვიხსენიოთ, რომ იტალიასა და სამხრეთსლავიაში მუშაობის ინსპექცია იმყოფება მიუნხენში, ხოლო სკანდინავიაში მუშაობისა—ლიუბეკში. გიმლერსა და გეიდრიხს ჰყავთ სპეციალური შტაბი 20 კაცის შემადგენლობით, რომელშიაც სამხედრო შპიონაჟის საუკეთესო სპეციალისტები მუშაობენ. ისინი დაღს ასვამენ გესტაპოს საზღვარგარეთელ მუშაობას, რომლის რეორგანიზაცია პოლკოვნიკმა ნიკოლაიმ მოახდინა 1934 წელს.

გესტაპოს საზღვარგარეთელი აგენტების არმია — დაახლოვებით 25 ათასი კაცი — შესდგება ისეთი ადამიანებისაგან, რომელნიც შემოიკრიბეს მათი მძიმე მდგომარეობის გამოყენების გზით, შანტაჟით ან ძალადობით, აგრეთვე ისეთი ადამიანებისაგან, რომელნიც დაინტერესებული არიან ამათუიმ მოცემულ ქვეყანაში პოლიტიკური წყობილების დამხობით, მაგალითად, ფლამანდიელებისაგან ბელგიაში, ელზასელ სეპარატისტებისაგან საფრანგეთში, ირლანდიელებისაგან ინგლისში და უწინარეს ყოვლისა თეთრგვარდიელებისა და ტროცკისტებისაგან, რომელნიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მუშაობენ. მოსკოვში პროლეტარულ სასამართლოს მიერ ტროცკისტ გამცემელთა გასამართლებამ უამრავი მასალა მოგვცა იმის შესახებ, თუ როგორ იყენებს გესტაპო ტროცკისტებს. მათი დახმარებით გესტაპო ცდილობს შეანგრიოს ხვრელი მსოფლიო პროლეტარიატის ციხე-სიმაგრეში ფაშისტთა ურდოების შემოსაჭრელად. რამდენადაც ტროცკისტები გადაიქცნენ ადამიანებად, „რომლებსაც შესწევთ უნარი ჩაიდინონ ყოველგვარი სისაძაგლე, შესწევთ უნარი ჩაიდინონ ყოველგვარი საზიზღრობა, თვით შპიონაჟი და თავისი სამშობლოს პირდაპირ ღალატიც კი, ოღონდ კი ავნონ საბჭოთა სახელმწიფოს და საბჭოთა ხელისუფლებას" (სტალინი), ისინი წარმოადგენენ საბჭოთა კავშირის შიგნით გერმანიის და საერთაშორისო შპიონაჟის ძირითად ბაზას.

მას შემდეგ, რაც გერმანიის ფაშიზმი ხელისუფლების სათავეში ჩადგა, მრავალ ქვეყანაში ადგილი ჰქონდა პუტჩების მოწყობის ცდებს იმ მიზნით, რომ ხელისუფლების სათავეში ჩაეყენებინათ მარიონეტული მთავრობები, რომლებსაც ბერლინი გაუწევდა ხელმძღვანელობას, და ამით მოეახლოვებინათ მსოფლიო კონფლიქტი. ლიტვაში „რკინის მგლების", ლატვიაში „მეხის ჯვრების", ესტონეთში ვაპსების, ფინეთში სინიმუსტის პუტჩების მარცხით დამთავრებული ცდებიდან ძაფები მუდამ გაბმულია გესტაპოსთან და ბერლინთან. ამ ქვეყნებში ფაშისტურ ჯგუფებს გერმანიიდან აწვდიან ლიტერატურას, იარაღს, ფულს, ინსტრუქციებს, ვინაიდან გერმანიის ფაშიზმი ვარაუდობს ამ რეაქციული ანტისაბჭოთა ელემენტებისაგან მიიღოს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ „საზღვრები კრედიტით". მემელსა და ავსტრიაში გესტაპოს აგენტები იმაზე მუშაობენ, რომ მიაღწიონ ამ რაიონების შეერთებას ჯალათურ მესამე იმპერიასთან.

თუ რა დანაშაულებრივი შედეგები გამოიწვევა შეუძლია თვითეული ცალკე ქვეყნისათვის და მთელი ევროპისათვის გესტაპოს ძირგამომთხრელ მუშაობას, იმას ცხადჰყოფს ის ზღვა სისხლი, რომელიც პირენეის ნახევარ კუნძულზე დაიღვარა, ცხადჰყოფს ცხრა თვის ომი ესპანელი ხალხის წინააღმდეგ. ნაციონალ-სოციალისტური „ესპანური ჯგუფის" დოკუმენტებმა, რომლებიც ბარსელონაში აღმოჩნდა, მთელ მსოფლიოს უცილობლად დაუმტკიცა, რომ ესპანეთში დაღვრილი სისხლი კისრად აწევს გერმანელ ფაშისტებს, რომლებიც თვეობით ამზადებდნენ სამხედრო - ფაშისტურ ამბოხებას გესტაპოს დახმარებით.

„ესპანურ ჯგუფს" მთელ ესპანეთში ჰქონდა დასაყრდენი პუნქტები. იგი კონტრაბანდულად ეზიდებოდა იარაღს და პროპაგანდისტულ მასალას, ინახავდა ჯაშუშთა ვეებერთელა ქსელს, აწარმოებდა ძირგამომთხრელ საქმიანობას ესპანეთის კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ, ეწეოდა ეკონომიურ ჯაშუშობას, გამაგრდა ესპანეთის მაროკოში, ინსტრუქტაჟს უწევდა ესპანელ ფაშისტებს და მათთან ერთად ამზადებდა ამბოხებას ესპანელი ხალხის წინააღმდეგ, და ყოველივე ეს იმისათვის, რომ გერმანიის ფაშიზმს შეეძლოს მისცეს ფოლადის ბარონებს შემოსავლის ახალი წყაროები და უზრუნველჰყოს თავისთვის შესაფერი სტრატეგიული ბაზა საფრანგეთისა და ინგლისის წინააღმდეგ თავისი სამხედრო გეგმების განსახორციელებლად.

შავი ჭირივით სწამლავს ფაშისტური შპიონაჟი მთელ ევროპას და ემუქრება საყოველთაო მშვიდობიანობას. მხოლოდ განუხრელ სიფხიზლეს და ამხანაგ სტალინის იმ სერიოზული გაფრთხილების მუდმივად დაცვას, რომ „ვიდრე კაპიტალისტური გარემოცვა არსებობს, ჩვენში იარსებებენ მავნებლები, ჯაშუშები, დივერსანტები და მკვლელები, რომელთაც უცხოეთის სახელმწიფოთა აგენტები გზავნიან ჩვენს ზურგში", — მხოლოდ ამ რევოლუციურ სიფხიზლეს შეუძლია ხელი შეუშალოს ფაშისტური შავი ჭირის მიკრობების შემოჭრას ჩვენი ძვირფასი სამშობლოს — სსრ კავშირის საზღვრებშიაც.

*) სტატია დაწერილია და გამოგზავნილია მოსკოვიდან, სპეციალურად „კომუნისტისათვის". რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქუთაისის მაუდის ფაბრიკა ახამუშავებლად ამზადებს ხალიჩის საქსოვ ხამქროს.
სურათზე: ოსტატი ნ. ნ. კრუჩინოვი თავის ქალიშვილ ვალიასთან ერთად ამოწმებს ხალიჩის საქსოვი მანქანის მუშაობას.

საგაზაფხულო ხვნა-თესვა ჩამორჩენილია

(ჯულფი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

სიმინდის, ლობიოს, სოიას, მირნაყოფებისა და ბალახეულთა თესვის ვადები ჯულფის რაიონში უკვე იწურება. მიუხედავად ამისა, არცერთი დასახელებული კულტურის თესვა დამაკმაყოფილებლად არ მიმდინარეობს. თუ მუშაობის არსებული ტემპები არ გაძლიერდა, ჯულფის რაიონში მოსალოდნელია საგაზაფხულო თესვის გეგმების ჩაშლა.

22 აპრილისათვის 9.320 ჰექტარის ნაცვლად სიმინდი დათესილი იყო 4.449-ზე, სოია (შერეული), ნაცვლად 5.949 ჰექტარისა, 1.955-ზე ლობიო (შერეული), 2169 ჰექტარის მაგიერ, 514-ზე, ხოლო საქონლის საკვები კულტურები, 180 ჰექტარის ნაცვლად, მხოლოდ 17,3 ჰექტარზე.

მთელ რიგ სასოფლო საბჭოებში თესვის გეგმები ნახევრადაც არ არის შესრულებული. მაგალითად, როდინოულის სასოფლო საბჭოში, სადაც ლობიო 185 ჰექტარზე უნდა დაითესოს, ხოლო საკვები კულტურები 69-ზე, გეგმა ერთი პროცენტითაც არ შეუსრულებიათ. სოიაც, ნაცვლად 511 ჰექტარისა, მხოლოდ 11 ჰექტარზე დათესეს, ხოლო სიმინდი, 800 ჰექტარის მაგიერ, 139-ზე. პირველ და მეორე სვირის სასოფლო საბჭოებშიაც სიმინდი, 1477 ჰექტარის ნაცვლად, დათესილია მხოლოდ 275,5; სოია 895-ის მაგიერ 137,5; ლობიო, ნაცვლად 414 ჰექტარისა, 50 და საკვები კულტურები, ნაცვლად 89,5-ისა, 14 (მეორე სვირს თესვა არც კი დაუწყია).

ასეთივე მდგომარეობაა სასოფლო საბჭოების დიდ უმრავლესობაში,— თესვა მეტისმეტად ჩამორჩენილია როგორც კოლმეურნეობებში, ისე კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში.

ჯულფის რაიონში ჩაშლა მოელის მწკრივად თესვის გეგმასაც, —1.000 ჰექტარიდან 22 აპრილისათვის დათესილი იყო მხოლოდ 81. ამავე დროს რაიონს არა აქვს მწკრივად სათესების საკმარისი რაოდენობა. სიმინდის სათესი მანქანები რაიონს თებერვალში უნდა მიეღო, მაგრამ, ნაცვლად ამისა, 16 აპრილს 2 ცალი ბამბის სათესი მიიღო.

— როდის გადააკეთებთ ამ მანქანებს, როდემდის გაგრძელდება თესვა?—ვეკითხებით მიწგანის მუშაკებს.

პასუხი მეტად დამაფიქრებელია, ირკვევა, რომ სათესების ადგილობრივად შეკეთების საშუალება არ არის, ხოლო მიწსახკომისათვის გაგზავნილ დეპეშაზე ჯერ პასუხი არ მიუღიათ. რაიონში თესვის დამთავრების ვადა სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით შეიძლება მხოლოდ 1 მაისამდე გაგრძელდეს. მიუხედავად ამისა, 800—1000 ჰექტარის ნაცვლად, ყველა კულტურები აქ დღეში მხოლოდ 180-200 ჰექტარზე ითესება. მაგალითად, 20 და 21 აპრილს (ორ დღეში) სიმინდი დაითესა მხოლოდ 155,7 ჰექტარზე.

დიდი ჩამორჩენაა იმ კოლმეურნეობებშიაც, რომელთაც მეტს ემსახურება. მაგალითად, ქვედა საქარის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობებში. ორ დღეში დაითესა მხოლოდ 17,5 ჰექტარი, ხოლო ზედა საქარაში პირველ და მეორე სვირში, კვალითისა და ცხრაწყაროში—არცერთი.

კოლმეურნეობებში მოუწესრიგებელია ცოცხალი გამწევი ძალის მოვლაც. ბევრგან პირუტყვს არა აქვს ნორმალური კვება, წესიერი მოვლა. ამიტომ პირველი სვირის კახიანის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე აკ. ჩიტორელიძე) წელს უკვე მოკვდა 11 სული ხარი და დაუძლურებულია 5. ამავე სოფლის სტალინის სახ. კოლმეურნეობაში მოკვდა 2 და დაუძლურებულია 7, კვალითის სახ. საბჭოს კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში (ვ. ხუსკივაძე) მოკვდა 3 ხარი და დავარდნილია 5.

ასეთივე მდგომარეობაა სოფ. კლდეეთში („მედგარი", თავმჯდომარე გრ. ჯაფარიძე), შრომაში („ლეჟავა", თავ-რე მერკვილიშვილი), ამავე სოფლის ლ. ბერიას სახ. კოლმეურნეობაში (ლაბაძე) და სხვ. სულ ჯულფის რაიონში დღემდე მოკვდა 40-მდე ხარი და შრომისუნარმოკლებულია 120-ზე მეტი.

გარდა იმისა, რომ მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა თავის დროზე საკმარისი რაოდენობით არ მოიმარაგეს საკვები (მაგალითად, კახიანის სახელობის კოლმეურნეობას უნდა გამოეყო 1487 ცენტნერი უხეში და 139 კონცენტრული საკვები, კუიბიშევის სახელობისას 829 ც. უხეში და 79 კონცენტრული, გამოჰყვეს გეგმის მხოლოდ 10—30 პროცენტამდე), ეს კოლმეურნეობები და ბევრი სხვაც ახლაც ნაკლებად ზრუნავენ მათ შენახვაზე. კერძოდ, კახიანის სახელობის კოლმეურნეობაში მძიმე მუშაობის შემდეგ მშიერი ხარები ღამით ცივ წვიმიან ამინდში გარედ დასტოვეს, რის გამო ისედაც დაუძლურებული ხარები დაიხოცნენ.

სოციალისტური შეჯიბრება ჩაის კრეფაში

მახარაძის რაიონის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, აგრონომების, აგროტექნიკოსებისა და სტახანოველ კოლმეურნეთა მიმართვა საქართველოს ჩაის ყველა რაიონისადმი

მახარაძის რაიონმა წელს სახელმწიფოს უნდა მისცეს 6207 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, თვითეულ ჰექტარზე უნდა მიიღოს საშუალოდ 2.000 კილოგრამი მოსავალი, ხოლო პირველი ხარისხის ფოთლის საერთო რაოდენობა მიიყვანოს 73 პროცენტამდე.

ჩაის კრეფის მთელი რესპუბლიკური გეგმის მეოთხედი მარტო ჩვენს რაიონზე მოდის. სხვანაირად რომ ვთქვათ, ყოველი 4 პროცენტი ჩვენი რაიონის გეგმის შესრულებისა მთელი რესპუბლიკური გეგმის ერთ პროცენტს უდრის.

დავალება მეტად საპატიო და სერიოზულია, მისი წარმატებით შესრულება კი თვით ჩვენზეა დამოკიდებული.

შარშან ჩაის კრეფის წლიური გეგმა ჩვენმა რაიონმა 103,9 პროცენტით შეასრულა, მაგრამ ჩამორჩა ხარისხობრივ მაჩვენებლებში. ამის მიზეზი ის იყო, რომ სწორად ვერ მოვაწესრიგეთ შრომა, მთლიანად ვერ გავატარეთ აგროწესები — დავაგვიანეთ ჩაის პლანტაციების გაწმენდა სარეველა ბალახებისაგან, ყველგან მტკიცედ ვერ გავატარეთ ჩაის განუწყვეტელი კრეფა, რამაც გამოიწვია ფოთლის გაუხეშება და დანაკარგები. ამით კი ვაზარალეთ თავსაც და სახელმწიფოსაც.

უკეთესად რომ გვემუშავნა, გაცილებით მეტსა და უკეთესი ხარისხის ჩაის მივიღებდით. მაგრამ გასული წლის შეცდომები წელს აღარ განმეორდება. ჩვენ გვაქვს ყოველგვარი პირობები იმისათვის, რომ ჩაის კრეფის სახელმწიფო გეგმა გადაჭარბებით და ხარისხიანად შევასრულოთ. პლანტაციები, რომლებიც შარშან მცირე მოსავალს იძლეოდა, წელს სრულმოსავლიანი გახდა. სახელმწიფო გვაძლევს მეტ მინერალურ სასუქს და გვიწევს უკეთეს აგრონომიულ მომსახურებას. სტახანოვური მუშაობის ფართოდ გაშლით უკეთესად ვისწავლეთ ჩაის მოვლა-დამუშავებაც. ფოთლის დამზადების ახალი წესი — კონტრაქტაცია, კიდევ უფრო გვახალისებს და გვიქმნის სტიმულს ვიმუშაოთ უკეთესად, გავადიდოთ ჩაის მოსავალი, ავწიოთ მისი ხარისხი.

შარშან თვითეულ ჰექტარზე მივიღეთ საშუალოდ 1.750 კილოგრამი მოსავალი, ზოგიერთმა საბჭოთა მეურნეობამ, კოლმეურნეობამ და საკოლმეურნეო ბრიგადამ პლანტაციების სანიმუშოდ მოვლით ცალკეულ ნაკვეთებზე მიიღო 3.500-4.000 კილოგრამი და მეტიც. ეს იმას მოწმობს, რომ უდიდესი რესურსები, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება მოსავლიანობის გასადიდებლად, მთლიანად ჯერ კიდევ არა გვაქვს გამოყენებული. წელს კი ეს უნდა გამოვიყენოთ.

ჩაის ფოთლის კრეფას უახლოეს დღეებში უნდა შევუდგეთ, ამისათვის კარგა ხანია ვემზადებით — საგულდაგულოდ შემოვაკავეთ პლანტაციები, ცოცხალი ღობის მოსაწყობად დავთესეთ ტრიფოლიატა რამდენიმე ათეულ კილომეტრზე, კრეფის დიფერენცირებული გეგმები დაყვანილია ყველა კოლმეურნეობამდე, ბრიგადამდე და ჯგუფამდე. 900 კაცმა გაიარა სამდღიანი კურსკონფერენციები კრეფისა და სხვა სამუშაოთა ახალი აგროწესების შესასწავლად. კოლმეურნენი განაწილებული არიან საწარმოო ბრიგადებსა და ჯგუფებზე. შედგენილია გამომუშავების ნორმები. ვამთავრებთ ჩაის პლანტაციებზე ბრიგადებისა და ჯგუფების ხანგრძლივი დროით მიმაგრებას. მოვიმარაგეთ კალათები, ჩაის დიდ მასივებში ვაწყობთ ფარდულებსა და მიმღებ პუნქტებს. გაგვყავს საპლანტაციო გზები, რომ შეუფერხებლად მოვახდინოთ ნაკრეფი ფოთლის გადაზიდვა პლანტაციებიდან ფაბრიკებამდე.

ეს სამუშაოები რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში მთლიანად ჯერ არ არის დამთავრებული. მაგრამ ეს ნაკლიც უახლოეს დღეებში გამოსწორდება. რადაც უნდა დაგვიჯდეს, აუცილებლად მივაღწევთ იმას, რომ მახარაძის რაიონის ჩაის თვითეული საბჭოთა მეურნეობა, კოლმეურნეობა, საკოლმეურნეო ბრიგადა და ჯგუფი კრეფის პირველი დღიდან სეზონის უკანასკნელ დღემდე მუშაობდეს შეუფერხებლად და მთელი წლის განმავლობაში ჩაის კრეფის გეგმასთან ერთად ასრულებდეს ყველა იმ სამუშაოს, რომლებზედაც დამოკიდებულია მოსავლიანობის გადიდება, კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობის მუშების შემდგომი კეთილდღეობის ზრდა.

მახარაძის რაიონის ჩაის სტახანოველები — კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, აგრონომები, აგროტექნიკოსები და ბრიგადირები, რომლებიც შევიკრიბეთ ჩაის კრეფისათვის მზადყოფნის შესამოწმებლად ვებმებით სოციალისტურ შეჯიბრებაში და მიმდინარე წლის საბრძოლო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ვიწვევთ ჩაის ყველა რაიონს.

ჩვენ ვღებულობთ ვალდებულებას: მიმდინარე წელს მოვკრიფოთ და სახელმწიფოს ჩავაბაროთ არანაკლებ 6.307 ტონა ჩაის მწვანე ფოთლისა — (აქედან მარტო საკოლმეურნეო-გლეხურ სექტორში მოვკრეფთ 4.750 ტონას), მივიღოთ თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 2.000 კილოგრამი, ხოლო ზოგიერთ ნაკვეთზე 4.000-5.000 კილოგრამი. მთელი ჩაბარებული ფოთლის არანაკლებ 73 პროცენტისა პირველი ხარისხის იქნება.

ზაფხულის განმავლობაში როგორც ახალ, ისე სრულმოსავლიან ჩაის პლანტაციებს გავთოხნით 4-5 ჯერ და ჩავაყენებთ ისეთ მდგომარეობაში, რომ პლანტაციებში ნიადაგი მუდამ გაფხვიერებული და სარეველა ბალახებისაგან გაწმენდილი იყოს.

2.300 ჰექტარზე ჩავატარებთ კულტივაციას ხუთჯერ მაინც, ხოლო საჭიროების მიხედვით 7-8-ჯერაც. ტრანშეების ფერდობებს გავცელავთ სამჯერ.

ცალკეული ნაკვეთებისა და ბუჩქების მდგომარეობის გათვალისწინებით, ისე, როგორც ამას ამხ. ლ. ბერია გვასწავლის, გავანოყიერებთ 4.937 ჰექტარს მინერალური სასუქით, მიწსახკომის გეგმით გათვალისწინებულ 180 ჰექტარის ნაცვლად 378 ჰექტარს ორგანული სასუქით, ხოლო 526 ჰექტარზე დავთესავთ სიდერატებს (მწვანე სასუქისათვის).

ჩაის საწარმოო ნაკვეთებს 5-7 წლით მივამაგრებთ ბრიგადებსა და ჯგუფებზე. ფართოდ გამოვიყენებთ ქალთა და მოზარდთა შრომას. მკრეფავებს წოვამარაგებთ კალათებით, გოდრებითა და ქილოფის ქუდებით, ყველა ბრიგადაში გამოვყოფთ მწონავებს, რომლებიც მოკრეფილ ჩაის მკრეფავებისაგან მიიწონიან კრეფის ადგილზევე. გავატარებთ განუწყვეტელ კრეფას, არ დავუშვებთ ფოთლის გაუხეშებასა და დაკარგვას.

ჩაის მასივებზე ყველგან მოვაწყობთ ფარდულებს და მოკრეფილ ფოთოლს ჩავაბარებთ ფაბრიკებს და მიმღებ პუნქტებს დღეში სამჯერ მაინც, წინასწარ მოვიმზადებთ ტრანსპორტსა და ტარას (ყუთებს, გოდრებს, ბრიზენტებს და სხვ.).

კრეფის გეგმის მაღალხარისხოვნად შესრულებასთან ერთად, ჩაისათვის მოვამზადებთ ნიადაგს გეგმით გათვალისწინებული 157 ჰექტარის ნაცვლად 239 ჰექტარზე. გავაშენებთ ჩაის ახალ პლანტაციას ნაცვლად 230 ჰექტარისა 312 ჰექტარზე, გავიყვანთ ახალ სადრენაჟო არხებს, 231.480 გრძივ მეტრზე და შევაკეთებთ ძველს — 100.685-ზე.

მოვაწყობთ ქარსაფარ ზოლებს 20.000 გრძივი მეტრის ნაცვლად 152.831 გრძივ მეტრზე და გავაშენებთ ქარსაფარი ზოლის მცენარეებისათვის სანერგეს 8 ჰექტარზე.

სისტემატურად გამოვუშვებთ საბრიგადო საველე კედლის გაზეთებს, მოვაწყობთ გაზეთების ხმამაღალ კითხვას, ჩავატარებთ საწარმოო თათბირებს, დაუგვიანებლად მოვახდენთ გამომუშავებული შრომადღეების შრომის წიგნაკებში ჩაწერას და იმგვარად დავაყენებთ ანგარიშსწორებას კოლმეურნეებთან, რომ ისინი ყოველ კვირაში ერთხელ მაინც ღებულობდნენ შრომადღეებზე კუთვნილ ფულად ავანსს.

გამოვავლინებთ ახალ სტახანოველებს და იმგვარად მოვაწყობთ სტახანოველებისათვის დახმარებას და მათი გამოცდილების გადატანას და დანერგვას ჩამორჩენილებში, რათა ამან გამოიწვიოს სტახანოველთა რიგების მასობრივად ზრდა.

მტკიცედ დარწმუნებული ვართ, რომ როგორც მუდამ, ისე წელსაც გადაჭარბებით შევასრულებთ ყველა სახელმწიფო დავალებას, მაგრამ ერთი წუთითაც არ ვივიწყებთ, რომ კლასობრივი მტრის ნარჩენები — კონტრრევოლუციონერ ტროცკისტ-ზინოვიეველთა ბანდისა და მენშევიზმის ნამსხვრევები, ფაშიზმის ეს აგენტები და ჩვენი სოციალისტური სამშობლოს გამყიდველები მუდამ შეეცდებიან ხელი შეგვიშალონ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში.

ჩვენ უნდა ვისწავლოთ კლასობრივი მტრის გამოცნობა როგორადაც უნდა იყოს იგი შენიღბული. რატომ არის, რომ ზოგან ყოველწლიურად გვიხდება ერთი და იმავე პლანტაციების რემონტი? რატომ არის, რომ ზოგან პლანტაციას არ ღობავენ და ჩაის პირუტყვი ანადგურებს? რატომ ხდება, რომ თუმცა აგროწესებს იცნობენ, მაგრამ მუშაობის დროს ზოგიერთი მათ ცხოვრებაში არ ატარებს? ყოველი მსგავსი შემთხვევის დროს ჩვენ პირდაპირ უნდა ვსვამდეთ კითხვას: ხომ არ ურევია ასეთ საქმიანობაში მტრის ხელი?

რევოლუციური სიფხიზლის გარეშე გეგმებისათვის ნაყოფიერი ბრძოლა შეუძლებელია. ეს მტკიცედ უნდა გვახსოვდეს.

ხელს აწერს შეკრების 387 მონაწილე.

ტარას შევჩენკო

კ ა ვ კ ა ს ი ა

ნაწყვეტები პოემიდან

1
მთებს გადაღმა მოსჩანს მთები,
შებურვილი ნისლით,
მთები, სავსე მწუხარებით
და მორწყული სისხლით.
2
იქ არწივი პრომეთეოსს
აწამებს და ჰკორტნის მტრულად.
მუდამ სჯიჯგნის და, უმწეოს,
ჩამოსტირის მკერდი წყლულად.

სვავი სვამს და ველარ აშრობს
უშრეტელი სისხლის წყაროს,
გულს ტკივილი ველარ აჰკნობს,
და სიცოცხლე ისევ ჰხარობს.

ასე ცოცხლობს, ნურც ჩაჰქრობს
სიმართლის ხმა მტრობას სხვისა.
იხარობს და ეპაექრობს, —
ვინ გადახნას ტალღა ზღვისა!

და უკვდავი სული, სიტყვა,
ვინ შებორკოს, თუნდაც გვიან.
როგორ ითქვას გმობა ღვთისა,
თუ ცოცხალთა ღმერთი ჰქვიან!
3
ნეტა, როდის გაიღვიძებს მძინარე,
ან და, ღმერთო, როდის განხოთ
დაღლილი!
დაიძინე, შესდგეს ცრემლთა
მდინარე
და წამოდგეს ბორკილებში
ხაკრილი!

გვჯერა, მოხვალ უკვდავო და
მარადი,
უძლეველო სულო თავისუფლების
გვჯერა, მოხვალ ხალხთა ძმობის
ძალათი,
აზვირთებულ ქალაქთა და
სოფლების.

და ხალხები, მხიარულ
სიმღერებში,
შეგხვდებიან დიდებით და
გალობით...
დღეს კი—სისხლად აცრემლებულ
ერებში,
სისხლის ტბები სდგას —
მტარვალთა წყალობით
4
მთებს გადაღმა მოსჩანს მთები,
შებურვილი ნისლით,
მთები, სავსე მწუხარებით
და მორწყული სისხლით.
5
სწორედ იმ ნისლით შეკრულ
მთებში
შვილები მთისა,
ღარიბ-ღატაკნი, შავ კლდეებში
ჩაკარგულები,
გაანადგურეს, გაოხრეს
კურთხევით ღვთისა,
და მირონცხებულ გვირგვინოსნის
განკარგულებით.

ბევრი სალდათი განგმირული
დაეცა მთაში.
სისხლი და ცრემლი... ვინ
დასთვალოს
სისხლი მრავალი!
იმპერატორებს დაათრობდა
ის სისხლი მაშინ,
გასივდებოდა სისხლით
მათი შთამომავალი.
6
რომ დამდგარიყო მთის
ქალწულთა
ცრემლი და მოთქმა, —
ჩაიხრჩობოდა შიგ ხელმწიფის
ჯიში და მოდგმა!

მოხუც მამების, დედების და
ქვრივთა ქვითინი,
ცამდე სწვდებოდა. იდგა
ირგვლივ
წუხილი მწარე!..
დიდება ყველას, ვისი ნებით
სისხლმა იდინა,
და ცრემლთა ზღვაში ვინც
ჩაახრჩო
ტანჯული მხარე!

დიდება მეფეებს,
მთები რომ ატირეს,
დიდება მწევრებს,
მეძებრებსაც და
მონადირეს...
7
მთებო!
გმირო ვაჟკაცებო,
თქვენ — დიდება, მთებო.
მაღლებო და წარმტაცებო,
ჭირში უდრეკლებო!
ძალას გმატებთ მაღლი ცისა
და — თავისუფლება,
დღეს ყოველი შვილი მთისა,
სიმართლისთვის ჰკვდება;
თქვენი საქმე, ძნელზე ძნელი,
ამით მსუბუქდება —
იბრძოლეთ და გაიმარჯვეთ,
ვაჟკაცებო,
მთებო!
8
მთაო, შენი შრომის ლუკმა,
და ბარაქა შენი სახლის.
ტყვილად არვის მოუცია,
„ჩემიაო" — ვერვინ გახლის.
შენი შრომით შეგიქმნია,
არა მთხოვნელს, არა დახრილს,
და თოვლიან მთების შვილებს,
ვინ განახავდა ცხედ ჩაყრილს!

მაგრამ გითხრეს: ნასწავლნი ვართ,
უვიცობა ვინ გვაყვედროს,
ჩვენ ვკითხულობთ საღვთო
წერილს,
ცაში ღმერთს რომ შეგვავედროს.

ჩვენმა ქოხმა, ციხემ, ტახტმა,
როგორ უნდა აგამხედროს,
ჩვენ ხომ ყველა ოქროში ვართ
და — შიშველნი ამავე დროს.

მცირედითაც მაძღარი ვართ,
მოდით, გულებს გადაგიშლით,
ჩვენს უსაზღვრო მიწა-წყალზე
ნავარდობას არ დაგიშლით:
გაგატარებთ ციმბირისკენ,
ციხეებსაც ნახავთ მრავალს,
ბევრს შეხვდებით თქვენისთანებს,
ფართო გზებზე იქით მავალს.
9
ჩვენი ქვეყნის ეს ღირსება,
ყველამ იცნო, ყველგან უქეს:
აქ ხომ ყველას, ზღვიდან ზღვამდე,
პირი მაგრად დაულუქეს.
ფინეთიდან დაწყებული
მოლდაველთა მიწაწყლამდე,
ყველა ჰხარობს, ნეტარობს და
მხიარულობს წლიდან წლამდე.

აქ ბერები გვასწავლიან
ბიბლიას და ჰქადაგებენ,
რომ, ერთხელო, ღორის მწყემსი
მეფობდა და განაგებდა;
შემდეგ მოჰკლა იმან მოძმე,
რა მოუნდა მისი ცოლი,
შემდეგ ცხონდა, შემდეგ ცაში
მიიწვიეს, საფლავს მწოლი,
და შეიქმნა ის მეორე
წმინდანების წინამძღოლი...
დიახ, ცაშიც მრავალი გვყავს
ჩვენ ასეთი მეფის ტოლი.

თქვენ გჭირდებათ შველა თავის,
ჩვენ გასწავლით ძრობას ტყავის,
წაგლეჯას და მითვისებას
ყოველივე გასახრავის.
10
რაც არ უნდა იყოს თქვენში, —
ამ გზით შეხვალთ სამოთხეში.
ჩვენ გავანათლდით. ეხლა გვინდა
თქვენც გიშველოთ რამე,
რომ სხვა ხალხსაც შუქმა
წმინდამ
დღედ უქციოს ღამე.
რომ აავოთ საპყრობილე,
თქვენს მხარეში მრავლად,
სცნოთ, რომ ძნელი არ ყოფილა
ბორკილებში გავლა,
რომ ძმასავით შეწყობილა
მათრახი და სწავლა.

ეს შეიგნეთ. ნუ იდარდებთ,
დავემორჩილდით ბარემ,
განათლდით და განვითარდით,
მიხვდეს თქვენი მხარე,
რომ ჩვენ გვინდა თქვენი მთები,
რადგან ვსძლიეთ სხვები,
რომ ჩვენია დანარჩენი —
მინდვრები და ზღვები.
11
ძვირფასო ძმაო, სასახელო ძმაო
იაკობ,
უსათნოესი ფიქრით გულში
ამოქარგულო,
კავკასიაში განწირული
დაფორიაქობ,
განუკითხავად სამშობლოდან
გადაკარგულო.

შენ, მოსკოვური შხამით სავსე
შესვი ფიალი,
სამშობლოს ტირანს ვერ აძგერე
მკლავი რკინისა,
აღარ გელირსა ბრძოლები და
დროშის ფრიალი
სადიდებლად საყვარელი
უკრაინისა.

მაგრამ, ძვირფასო, უკრაინის
გაშლილ ველებზე
აშრიალდება შენი სული,
როგორც ნიავი,
ნახავ კაზაკებს. კურგანებთან,
წყალთან, მდელოზე,—
ყველგან შესდგება, რომ აღწერო
ჟამთა სიავე.

იტირებ მაშინ. და რაც გულში
ნაღველი გენთო,
ვაზაკთა წუხილს ჩაატარებს სტეპი
მტირალი.
და მაშინ, ძმაო, მეც მახსენე,
მიგულე შენთან,
შენებრ დასჯილი, ნაცემი და
ნაცემბირალი.
12
მანამდე კი ფიქრს და სევდას
თვალნი ჩემნი ჰფერიან.
მჯერა — იმ ფიქრს, დღეს თუ
გვიან,
ხნულში ამოზრდიან,
და, ქარიშხლებს, დღეს რომ
ჰქრიან —
თავს არ დაუხრიან.

ის ფიქრები შენკენ ჰქრიან,
შენკენ ისწრაფვიან,
ეს ძახილიც შენკენ მიაქვს.
უკრაინის ნიავს.

წაიკითხავ ამ სტრიქონებს,
შიგ ჩანთხეულ სევდას,
ნახავ—გულს თუ რაც მილონებს
და რაც თვითონ გქდება.

მოიგონებ სტეპს, კურგანებს,
აღსდგებიან მთები,
ძმურად ცრემლებს დააფრქვევ და
მეც მოგაგონდები.

1845

თარგმნა ნიკოლო მიწიშვილმა

ამხ. შ. მებრელიძე

შრომის ორგანიზაცია სუბტროპიკულ კოლმეურნეობებში

კოლმეურნეობაში ძირითადი საწარმოო ერთეული მუდმივი საწარმოო ბრიგადაა. მრავალწლოვანი კულტურების კოლმეურნეობებში ბრიგადა 6-7 წლის ვადით ყალიბდება. მთავარი ყურადღება ბრიგადის სწორ დაკომპლექტებას უნდა მიექცეს. მას მიემაგრება კოლმეურნეობის მუშა-საქონელი, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები, ინვენტარი, აუცილებელი ნაგებობანი, მიწის განსაზღვრული ნაკვეთი და მრავალწლოვანი ნარგავები (ჩაი, ნარინჯოვანები, ტუნგო და სხვ.). კოლმეურნეებს კარგად უნდა ახსოვდეთ ამხ. ლ. ბერიას მითითება, რომ „მტკიცე საწარმოო ბრიგადების გარეშე, რომლებიც მოწყობილი არიან წესდების მოთხოვნილების სრულ შესაბამისად, შეუძლებელია კოლექტიური მეურნეობის წარმოება, შეუძლებელია შრომის და მისი აღრიცხვის სწორად მოწყობა, შეუძლებელია შრომის დისციპლინის უზრუნველყოფა და კოლმეურნის დაინტერესება საკოლმეურნეო წარმოებაზე კეთილსინდისიერ მუშაობაში".

ბრიგადების მუშაობა და მათი სიდიდე წლიური საწარმოო დავალებით განისაზღვრება. ბრიგადის საწარმოო დავალება კოლმეურნეობის გეგმის შემადგენელი ნაწილია. ბრიგადებს კოლმეურნენი და საწარმოო საშუალებანი ისეთი რაოდენობით უნდა მიემაგროს, რომ უზრუნველყოფილ იქნას საწარმოო დავალების შესრულება განსაზღვრულ დროში, მაღალი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლებით.

ბრიგადის დაკომპლექტება ისე უნდა მოხდეს, რომ ბრიგადიდან ბრიგადაში კოლმეურნეების, გამწევი ძალის, სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების და ინვენტარის გადასროლა (რასაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს მოწინავე კოლმეურნეობაშიაც კი) ლიკვიდირებულ იქნას, ამასთანავე კოლმეურნეთა ბრიგადებზე მიმაგრებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას მათი კვალიფიკაცია, საწარმოო გამოცდილება, ქალებისა და მოზარდების რიცხობრივი შეფარდება და კოლმეურნეთა ტერიტორიული დასახლებაც კი.

ბრიგადებზე საწარმოო დავალების მექანიკურად განაწილება დაუშვებელია. საჭიროა კონკრეტული საწარმოო პირობების გათვალისწინება. მრავალწლოვანი კულტურებს ბრიგადებზე განაწილებისას მხედველობაში მისაღებია კულტურების შრომისტევადობის მეტ-ნაკლებობა, აგრეთვე კულტურების ტერიტორიული გაადგილება, კულტურათა მოვლა-დამუშავების და სამუშაოთა ვადების დიფერენცირება, რათა პროცესების შესრულების ვადები ერთი მეორეს არ დაემთხვეს.

ბრიგადებზე საწარმოო საშუალებების მიმაგრებისას საკითხს მარტო მათი რაოდენობა ვერ გადასჭრის. დიდი მნიშვნელობა ენიჭება აქ ხარისხს, რადგან ტექნიკურად დეფექტური იარაღ-მანქანებისა და გამწევი ძალის გამოყენებისას გამომუშავების ნორმა მცირდება და ამიტომ ბრიგადას საწარმოო საშუალებები მეტი რაოდენობით უნდა მიემაგროს. საწარმოო საშუალებების მიმაგრება სპეციალური აქტით ხდება. მთელი პასუხისმგებლობა ბრიგადირს ეკისრება. ბრიგადის შიგნით საწარმოო საშუალებები ბრიგადის წევრებზეა გაპიროვნებული.

მუშაობის ასეთი წესი უზრუნველჰყოფს კოლმეურნეობის საწარმოო ბრიგადების მუდმივობას, სპობს გაუპიროვნებას, ზრდის შრომის ნაყოფიერებას და კოლმეურნეობის შემოსავალს.

საქართველოს მიწსახკომის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ სუბტროპიკული რაიონების ყველა კოლმეურნეობაში შრომის ორგანიზაცია სას.-სამ. არტელის სტალინური წესდების საფუძველზე არ იყო მოწყობილი. ცხაკაიას რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში, აბაშის რაიონის სოფ. მარნის ამხანაგ სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ბრიგადები ტერიტორიული პრინციპის მიხედვით იყო მოწყობილი, სოფ. უშაფათის ამხანაგ ორჯონიკიძის სახელობის და ახალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში ბრიგადებს სპეციალური აქტით მიმაგრებული არ ჰქონდათ მანქანა-იარაღები, ინვენტარი, მუშა-პირუტყვი და სხვ.

სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეობათა ბრიგადების წამყვანი კულტურა უმეტესად ჩაის კულტურაა. ჩაის პლანტაციაში მომუშავე ბრიგადა მუდმივი საწარმოო ბრიგადაა. მასზე მიმაგრებულია ჩაის პლანტაციის განსაზღვრული რაოდენობა. ბრიგადა ჯგუფებად ანუ რგოლებად იყოფა. შარშან სოფ. ხობის 26 კომუნარის სახელობის ლანჩხუთის რაიონის სოფ. ლაშისღელის ამხ. ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობებში ბრიგადები დაყოფილი არ იყო ჯგუფებად. ბრიგადა ერთად მუშაობდა და შრომადღეები ყველს თანაბრად ეწერებოდა.

სტახანოვურმა მოძრაობამ დაარღვია გამომუშავების ძველი ტექნიკური ნორმები. კოლმეურნეობებში გამომუშავების ნორმების დაწესება უნდა ითვალისწინებდეს შრომის ნაყოფიერების სისტემატიურ ზრდას, სამუშაოთა შესრულების მაღალ ხარისხობრივ და რაოდენობრივ მაჩვენებლებს. სამუშაოთა შრომადღეების ნორმების მექანიკურად დაწესება ბრიგადებისა და ჯგუფების მიხედვით დაუშვებელია. ნორმები დიფერენცირებულად უნდა დაწესდეს, ნიადაგის, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის, გამწევი ძალის, მრავალწლოვანი ნარგავების (ჩაი, ნარინჯოვანები, ტუნგო და სხვ.) მდგომარეობისა და მოსავლიანობის დონის მიხედვით.

ჩაისა და ციტრუსების ყველა პლანტაცია ერთნაირად როდი გამოიყურება. წლოვანების თუ სხვა პირობების მიხედვით არც მოსავლიანობაა ერთნაირი. ჩაის ფოთლის შემოსავალი მცენარის ვეგეტაციაზეა დამოკიდებული. ამიტომ ჩაის კრეფის ნორმები არა მარტო სრულ და არასრულ მოსავლიანობის დონის მიხედვით განიცდის დიფერენცირებას, არამედ თვეების მიხედვითაც. ჩაის, ციტრუსების, ტუნგოს და სუბტროპიკულ ხეხილთა ნარგავები დამუშავებითაც (კულტივაცია, გადაბარვა, გაფორმება, გასხვლა და სხვ.) ერთნაირ პირობებს არ იძლევა, ამიტომ ცალკეულ შემთხვევებში ნორმები დიფერენცირებულ უნდა იქნას. ნორმების დიფერენცირება აუცილებელია აგრეთვე ნარგავების გაშენებისათვის ნიადაგის მომზადების, მანდარინის კრეფის და სხვა სამუშაოებზე. გამომუშავების ნორმებს, როგორც წესი, კოლმეურნეობის საერთო კრება ამტკიცებს. გამომუშავების დაწესებული ნორმები მუშაობის პროცესში გადასინჯვას მოითხოვს მეტწილად გადიდების მიმართულებით.

კოლმეურნეობებში მუშაობა ჯგუფური სანარდო სისტემის საფუძველზეა მოწყობილი იმგვარად, რომ ჯგუფის წევრის მიერ შესრულებული სამუშაო ინდივიდუალურად აღირიცხება და შეფასდება. სანარდო სისტემას დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეთა მიერ დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის, სტახანოველთა და დამკვრელთა გამოვლინების, კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების, გათანაბრების ლიკვიდაციის, შრომის სოციალისტური პრინციპის განმტკიცების და კოლმეურნეთა შრომაში ურთიერთი დაკავშირების საქმეში.

კოლმეურნეობებში სანარდო სისტემის მარტივი ფორმა არის შემოღებული. ეს იმას ნიშნავს, რომ კოლმეურნეს მოცემული ნორმის გადაჭარბებისათვის შრომადღეები ნორმის შესაბამისად დაერიცხება. ასე, მაგალითად, ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის 1-ლ ბრიგადაში ჩაის გაშენებისათვის ტრანშეის ამოღების ნორმა დაწესებულია 25 გრძივი მეტრის. სამუშაო მეხუთე ჯგუფზეა მიკუთვნებული, რისთვისაც კოლმეურნეს 1,75 შრომადღე ეწერება. თუ კოლმეურნემ ნაცვლად 25 გრძივი მეტრისა გამომუშავა 50 მეტრი და მუშაობა ხარისხობრივად კარგია, მას დაეწერება 3,5 შრომადღე. შესრულებულ სამუშაოზე შრომადღეების დარიცხვა ხარისხის შემოწმების შემდეგ უნდა მოხდეს. სამუშაოთა დამთავრების შემდეგ კი აქტი უნდა შესდგეს.

შარშან სუბტროპიკული რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში შრომის ორგანიზაციის დარგში ადგილი ჰქონდა დამახინჯებებს. მაგალითად, ხობის რაიონის 26 კომუნარის და ამხანაგ სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში არ სწარმოებდა კოლმეურნეთა მიერ შესრულებული სამუშაოს ყოველდღიური ინდივიდუალური აღრიცხვა, რის გამო შეუძლებელი იყო ნორმების შესრულების აღრიცხვა, შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემოწმებაც არ ხდებოდა. აბაშის რაიონის სოფ. მარნის კოლმეურნეობაში ბრიგადებს საწარმოო დავალება სწორად არ ჰქონდათ განაწილებული—პირველ ბრიგადაში ერთ კოლმეურნეზე ნათესები და ნარგავები მოდიოდა 2,9 ჰექტარი, მეორეში—1,4, მესამეში—2,1, მეოთხეში—1,2, ხოლო მეხუთეში 2 ჰექტარი.

აღნიშნული მაგალითები მოწმობენ, რომ ზოგიერთი კოლმეურნეობა სუსტად იბრძვის სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების და ამხ. ლ. პ. ბერიას მითითებათა განუხრელად გატარებისათვის შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებისა და გაუმჯობესების დარგში.

შრომის ნაყოფიერების ზრდაში დიდი მნიშვნელობა აქვს მუშაობის სწორ ორგანიზაციას, სამუშაო დროის შემჭიდროებას. ბრიგადები მუშაობას ისე უნდა ანაწილებდნენ, რომ ერთი პროცესი მეორეს მისდევდეს. ამიტომ სამუშაო ადგილი წინასწარ იგეგმება, ბრიგადა ინვენტარით მარაგდება. მთავარია კოლმეურნის არასაწარმოო ხასიათის გაცდენების ლიკვიდაცია და სამუშაო დროის მაქსიმალურად დატვირთვა.

მუშაობის სტახანოვური მეთოდების მასობრივად დანერგვამ გაზარდა სუბტროპიკების ენტუზიასტთა რიგები. ჩაის და ციტრუსების სტახანოველები შრომის კარგი ორგანიზაციის შედეგად ნორმას 200—360 პროც. აჭარბებენ. აღიზარდნენ ჩაისა და ციტრუსების სტახანოველთა ახალი კადრები.

ამოცანა ის არის, რომ სტახანოველთა გამოცდილება ფართოდ იქნას გამოყენებული კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებისათვის.

მასების ხმას ყურს არ უგდებენ

თბილისის ლენრაიონის 1-ლი უბანი, რომლის მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას მუშები შეადგენენ, საკმაოდ დაშორებულია ქალაქის ცენტრალურ ნაწილს. ეს გარემოება ლენრაიონის სავაჭრო ორგანიზაციებს ავალებს ამ უბნის მშრომელი მოსახლეობის უკეთ მომსახურებისათვის მეტი ყურადღება მიაქციონ სავაჭრო წერტილებისა და მაღაზიების გახსნას.

მაგრამ უბანში დღემდე გახსნილი არ არის ფართო მოხმარების საგნების არცერთი მაღაზია (თუ მხედველობაში არ მივიღებთ პურის წერტს).

შარშან 9 ძმის ქუჩაზე გახსნილი იყო სავაჭრო წერტი, მაგრამ რატომღაც იგი დახურეს და მცხოვრებლებს ფართო მოხმარების საგნების შესაძენად ხარული უბნებით საჰის ქუჩაზე, რომელიც უბანს ძალიან დაშორებულია.

მაღაზიის გახსნის საკითხი დაისვა ლენრაისაბჭოს წინაშე. საბჭომ მუშათა მომარაგების რაიგანყოფილების თავმჯდომარეს ამხ. გეგუჩაძეს წინადადება მისცა მოეგვარებინა ეს საკითხი, მაგრამ გეგუჩაძეს სჩანს, ასეთი „წვრილმანებისათვის" არ სცალია და უპასუხისმგებლოდ აცხადებს: „ჩვენ ტყეში მაღაზიებს არ ვხსნითო".

საჭიროა ამ მდგომარეობას სათანადო ყურადღება მიექცეს, გეგუჩაძეს დანაშაულებრივი გულგრილობისათვის პასუხი უნდა მოეთხოვოს და უბნის მშრომელი მოსახლეობის მოთხოვნილება დროულად დაკმაყოფილდეს.

სოფიო სამხარაძე.
თბილისის საბჭოს წევრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ გვწერენ

გოცირიძის ხულიგნობა

— გააღეთ კარი!
— ვინ არის?
— ვინც ვარ, მაშინ გაიგებთ, როცა კარს გააღებთ!

ამ სიტყვებთან ერთად სისხ. სამ. მილიციის უფროსი თანამშრომელი შ. გოცირიძე ღამის 11 საათზე ვადაჭკორიას ბინაში (ლენინის ქ. № 54) შეიჭრა. თან ახლდა რიგითი მილიციელი. გოცირიძე მარჯვენა ხელით რევოლვერის ბუდეს ათამაშებდა, ხოლო მარცხენაში რაღაც ქაღალდები ეჭირა.

— თქვენთან მცხოვრებმა ალ. ქერქაძემ მე გადმომცა ბინა; ამაღამვე უნდა შევსახლდე. კარი გააღეთ!

მდგმურებს ცოტა არ იყოს გაუკვირდათ, შეეყოყმანდნენ. გოცირიძე განრისხდა. დიასახლისს ხელი ჰკრა და ოთახში ძალით შესვლა დააპირა. სამილიციო ჯანყ. უფროსთან წერილი გაგზავნა და თან იმუქრებოდა. მცხოვრებთა მყუდროება დაარღვია.

ხმაურობაზე მცხოვრებლებმა თავი მოიყარეს. არ დაიბნენ: გოცირიძეს ოთახში შესვლის საბუთი მოსთხოვეს.

გოცირიძეს აღმოაჩნდა ქერქაძესთან ბინის გაცვლის ორდერი, გამცვლელი ბიუროს მიერ გაცემული.

— კი მაგრამ... გაცვლა როგორ გააფორმეს, როცა არცერთ მხარეს სახლის საბჭოს ნებართვა არ მოეპოვება და არც სასამართლოს დადგენილებაა ამ საქმეზე? —დაეჭვდნენ მდგმურები.

მართლაც რომ საეჭვოა! ოთახის გაცვლის გაფორმებისათვის გამცვლელ ბიუროში საბუთები უნდა წარადგინო. გოცირიძეს და ქერქაძეს ვინ მისცემდა გაცვლის ორდერს საბუთების წარუდგენლად? მაგრამ ეს ძმა-ბიჭობითა და პურმარილით გაკეთებული საქმეა ... ლაფერს შინ და მოხერხება უნდა!

მოკლედ რომ ვთქვათ, ამბავი ასე მოხდა.

ქერქაძე ვადაჭკორიამ შემოიყვანა, სათანადო ხელშეკრულებით, თავის ბინაში დროებით საცხოვრებლად. პირველმა განიზრახა ბინის სამუდამოდ ხელში ჩაგდება და გოცირიძეს დახმარებით გააფორმა ბინის „გადაცვლა“, რის უფლება ქერქაძეს არ ჰქონდა.

ორჯონიკიძის საბ. რაიპრ... ორმა გააუქმა უკანონოდ გაცემული ორდერი, მაგრამ ეს არ კმარა. შ. გოცირიძემ საბჭოთა მილიციის სახელის გატეხისათვის, ხულიგნური საქციელისათვის პასუხი უნდა აგოს.

პ. პაპაძე

რედაქციისაგან: კორესპონდენციაში აღნიშნული სისხ. სამ. მილიციის უფროსი თანამშრომლის შ. გოცირიძის ხულიგნობის ფაქტი შემოწმებულია ჩვენ მიერ. მოველით ამ საქმეზე საქ. რესპუბლიკის მილიციის უფროსის, სახელმწიფო უშიშროების მაიორის ამხ. შ. წერეთლის ჩარევას და სათანადო ზომების მიღებას.

◇ ◇ ◇

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„შეხმატკბილებულად მოქმედებენ“

რედაქციაში ამ სათაურით შემოსული წერილის ავტორი სამტრედიის რაიონიდან გვაცნობებდა: საქვაჭრობის სამტრედიის სავაჭრო წერტის გამყიდველები კოტე ჩოჩხაძე და გრიგოლ ტორონჯაძე ფასების საბჭოთა პოლიტიკას ამახინჯებენ და სახელმწიფო ქონებას ითვისებენო.

წერილი რედაქციამ გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა სამტრედიის რაიპროკურორს ამხ. ესაკიას, რომელიც გვატყობინებს: წერილში აღნიშნული ფაქტები მთლიანად დადასტურდა. 25 მარტს სამტრედიის რაიონის სახ. სასამართლომ საჩვენებელი პროცესით გაასამართლა ისინი. სახელმწიფო ქონების გაფლანგვისათვის კოტე ჩოჩხაძეს მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციით, გრ. ტორონჯაძეს წელიწადნახევრით თავისუფლების აღკვეთა.

„მომხმარებელს თვალს უხვევენ“

ჩვენი სოფლკორი ხარაგაულის რაიონიდან გვწერდა: სოფ. ბაზის კოლმეურნეობის საწყობის გამგე მოსე ბარბაქაძის დაუდევრობით დალპა რამდენიმე ფუთი სიმინდი და სოია. კოლმეურნეობის მოანგარიშე ნიკოლოზ ბარბაქაძეც უსულგულოდ ეკიდება ანგარიშწარმოების საქმესო.

რედაქციამ ეს წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა ხარაგაულის რაიპროკურორს ამხ. შ. ბუაჩიძეს, რომელიც გვატყობინებს: წერილში აღნიშნული ფაქტი დადასტურდა, მოსე ბარბაქაძე და მოანგარიშე ნიკოლოზ ბარბაქაძე მიცემული არიან პასუხისგებაში.

„უშიშარი კომბინატორი“

რედაქციაში ამ სათაურით შემოსული წერილის ავტორი სამტრედიის რაიონიდან გვაცნობებდა: თავდაცვა-ავიაქიმის რაისაბჭოს ბუხჰალტერი აკაკი სარდიონის-ძე გიორგაძე კომბინატორობს, მან მიითვისა 1200 მანეთი სახელმწიფო ფულიო.

წერილი რედაქციამ გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა სამტრედიის რაიპროკურორს ამხ. ესაკიას, რომელიც გვატყობინებს: წერილში აღნიშნული ფაქტი დადასტურდა, აკაკი გიორგაძე მოხსნილია სამუშაოდან და პასუხისგებაში მიცემულია.

„მოხსნა აკმარეს“

ამ სათაურით რედაქციაში შემოსული წერილის ავტორი ჯუღლის რაიონიდან გვწერდა: სოფ. კვალითის ამხ. თ. ელენტის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. კვინიკაძემ საკოლმეურნეო დოვლათი გაანიავა, რისთვისაც მას ძმაბიჭების დახმარებით სამუშაოდან მოხსნა აკმარესო.

რედაქციამ ეს წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა საქ. კ.პ. (ბ) ჯუღლის რაიკომს, რომელიც გვატყობინებს: წერილში აღნიშნული ფაქტი ძირითადად დადასტურდა. საქმე გადაეცა რაიპროკურორს ამხ. ბუაჩიძეს შ. კვინიკაძის პასუხისგებაში მისაცემად

24 აპრილს სასამსახურო მეძაღლეობის თბილისის კლუბმა „სასამსახურო ძაღლის დღის“ 10 წლისთავის აღსანიშნავად მოაწყო კლუბის წევრთა დემონსტრაცია-გასეირნება ქალაქში. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 120 კაცმა თავიანთი ძაღლებით და 45 წითელარმიელმა სამხედრო ძაღლებით.
სურათზე: კავკასიური ჯიშის ძაღლი „ჯამალი“ - 2-ნახ. წლისა. სდარაჯებს თბილისის უნივერსალურ მაღაზიას.

საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი

მეცხრე ტური

მეცხრე ტურში ყურადღებას იპყრობდა ის პარტიები, სადაც ტურნირის ლიდერები იუდოვიჩი და ლევენფიში თამაშობდნენ.

პირველი ეთამაშებოდა გროსმეისტერ ლილიენტალს. გრიუნფელდის დაცვაში ლილიენტალმა მეათე სვლაზე ახალი საინტერესო სვლა გააკეთა და ინიციატივის მტკიცედ ხელში ჩაგდების მუქარა შექმნა. კარგა ხნის მოფიქრების შემდეგ იუდოვიჩმა გამონახა თამაშის ერთადერთი სწორი გეგმა, რის შედეგადაც მოახერხა მდგომარეობის გამართვება და ყაიმს მიაღწია.

არანაკლებ საინტერესო იყო ლევენფიშისა და კიევის ჩემპიონ კონსტანტინოპოლსკის შეხვედრა. დებიუტით ნიმცოვიჩის დაცვაში ვერცერთმა მხარემ გარკვეული უპირატესობა ვერ მიიღო. რთული და საინტერესო ბრძოლის შემდეგ ეს პარტიაც ყაიმით დასრულდა.

სულ სხვა სურათი იყო გოგლიძე-ალატორცევის და ჩეხოვერ-ებრალიძის პარტიებში.

დაახლოებით თანასწორ მდგომარეობაში ალატორცევი წავიდა ხარისხის შეწირვაზე, რასაც მისი ვარაუდით მოწინააღმდეგის მეფეზე სასტიკი იერიშის განვითარება უნდა მოჰყოლოდა. კარგა ხნის ფიქრის შემდეგ გოგლიძე წავიდა ხარისხის მოგებაზე, რამაც ალატორცევი ჩააფიქრა — ალბათ დაიჭვდა ამ შეწირვის სისწორეში. შემდეგი სვლის მოფიქრებას მან ერთ საათზე მეტი მოანდომა. გოგლიძის ზუსტმა თამაშმა მალე ცხადჰყო ამ შეწირვის უსაფუძვლობა. გოგლიძემ ადვილად მოიგერია იერიში, დაცვალა ფიგურები, მოიგო ორი პაიკი, შეინარჩუნა ხარისხიც და მე-41 სვლაზე აიძულა ალატორცევი დანებებულიყო.

ლაზიერის პაიკთა დებიუტში ჩეხოვერმა ებრალიძის წინააღმდეგ უპირატესობა მიიღო, ებრალიძეს შექმნა სუსტი ცენტრალური პაიკები. გართულებულ მდგომარეობაში, თავდაცვითი სვლების ნაცვლად ებრალიძე წავიდა ხარისხის მოგებაზე. რაც, როგორც მალე გამოირკვა, სწორი არ იყო, შამათისაგან თავის დასაღწევად ებრალიძე იძულებული გახდა მიეცა ლაზიერი ერთ ეტლში და მცირე წინააღმდეგობის შემდეგ დანებდა.

მაესტროს სახელის მოპოვების პრეტენდენტთა შორის ჯერჯერობით საუკეთესოდ თამაშობს როსტოვის წარმომადგენელი ბონდარევსკი. დღეს მან კარგად გამოიყენა ილინ - ჟენევსკის ლაზიერის ხაფანგი „საიერიშო“ სვლა მეფის ფრთაზე, ხელთ იგდო ინიციატივა და ოცდახუთ სვლაში გამარჯვება მოიპოვა. ამრიგად, ბონდარევსკის უკვე ხუთი ქულა აქვს და მაესტროს სახელის მოსახვეჭად მან დარჩენილი ათი პარტიიდან ოთხი ქულა უნდა მოაგროვოს.

ამ დღეს ერთგვარ მსგავსებას ჰქონდა ადგილი პანოვ—რაბინოვიჩის და რაუზერ—რაგოზინის პარტიებში. პანოვმა თეთრებით ალიოხინის დაცვის წინააღმდეგ დებიუტშივე მოახერხა საგრძნობი უპირატესობის მიღება და მალე კიდეც მოიგო პაიკი. ამის შემდეგ მას რამდენჯერმე მიეცა პარტიის მოგების შესაძლებლობა. გაუგებარი მიზეზების გამო იგი არ გაჰყვა არცერთ სწორ გზას. პარტია გადაიდო ისეთ მდგომარეობაში, სადაც რაბინოვიჩს ყაიმის საკმაო შანსები აქვს.

რაუზერს რაგოზინის დამარცხების შესაძლებლობა ჰქონდა შუა თამაშშიც, შემდეგ ენდშპილშიაც, მაგრამ ეს ვერ გამოიყენა. პარტია გადაიდო და ალბათ ყაიმით დასრულდება.

მეტად რთული და საინტერესო იყო მაკაგონოვ — ლისიცინის პარტია. შუა თამაშში იერიშის მიღებისათვის ლისიცინი წავიდა პაიკის შეწირვაზე. მაკაგონოვმა პაიკი აიყვანა და თანაც მართებულად იცავდა თავს. ორივე მოწინააღმდეგე მოხვდა ცეიტნოტში, რომლის დროსაც ლისიცინმა ფიგურა დაჰკარგა. პარტია გადაიდო ლისიცინისათვის წაგებულ მდგომარეობაში.

როგორც სჩანს, მოსკოვის ჩემპიონ კანზე გავლენა იქონია პირველ ტურში დაუმსახურებელმა დამარცხებამ იუდოვიჩთან. შემდგომ პარტიებს იგი მისთვის ჩვეული მონდომებით ვეღარ თამაშობს. ამ ტურშიაც უფერული თამაშის შემდეგ უკვე მე-22 სვლაზე ბუდოსთან ყაიმზე დასთანხმდა.

პოზიციური ბრძოლის შემდეგ კასპარიან — ბელავენეცის პარტია გადაიდო პირველისათვის ბევრად უკეთეს მდგომარეობაში.

ალ. ფალავანდიშვილი.

მეგობრული შარჟი
მხატ. ს. ბეჟიაშვილისა

მაესტრო ილინ-ჟენევსკი

მეათე ტურის შედეგები

მეათე ტური აღინიშნა ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტის ლევენფიშის პირველი დამარცხებით და გროსმეისტერ ლილიენტალის პირველი გამარჯვებით.

ბელავენეცმა თავიდანვე მიიღო პოზიციური უპირატესობა ლევენფიშთან, რაც ბოლომდე შეინარჩუნა და გამარჯვებას მიაღწია. ასევე კარგად მოუგო ლილიენტალმა ილინ-ჟენევსკის.

ებრალიძე დამარცხდა ალატორცევთან, ბუდო — რაუზერთან და ბონდარევსკი—კანთან.

იუდოვიჩ — მაკაგონოვის, კონსტანტინოპოლსკი — ჩეხოვერისა და გოგლიძე — პანოვის პარტიები ყაიმით დასრულდა.

რაბინოვიჩ - რაგოზინის პარტია გადაიდო. უკანასკნელს ეტლების ენდშპილში ზედმეტი პაიკი ჰყავს.

ლისიცინ-კასპარიანის პარტია გადაიდო დაახლოვებით თანაბარ მდგომარეობაში.

O

მეათე ტურის შემდეგ წინ არიან: იუდოვიჩი+7, ლევენფიში + 6½, გოგლიძე+6, რაგოზინი+5 ½ (2 გად.), მაკაგონოვი+5 ½ (1 გად.), რაუზერი და ბელავენეცი + 5 (1 გად.), ალატორცევი, კანი და ბონდარევსკი+5.

O

დღეს, 26 აპრილს, ჩემპიონატის მონაწილენი ისვენებენ.

საღამოს 8 საათზე, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში იწყობა ლენინგრადელი მოჭადრაკის ტოლუშის მოხსენება ჩემპიონატის პირველი ნახევრის შედეგებზე. სოკოლსკი ჩაატარებს ერთდროული თამაშის სეანსს.

◇

საბავშვო სახლებში

ბავშვთა უპატრონობის მოსპობას ჩვენში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ყოველწლიურად იზრდება საბავშვო სახლების ქსელი, ძლიერდება მათი მატერიალური ბაზა. საქართველოს საბავშვო სახლებისათვის წელს 7.257.400 მანეთი დაიხარჯება. სიღნაღსა და გურჯაანში გაიხსნება ახალი საბავშვო სახლები — თითოეული 50 ბავშვისათვის.

განსახკომის საბავშვო სახლების სამმართველოს ახალქალაქში გადაეცა სამხედრო უწყების ყოფილი შენობა, სადაც 200 ბავშვი მოთავსდება. ზუგდიდის საბავშვო სახლს დაუთმეს სოფ. ჭკადუაშის ყოფილი საბჭოთა მეურნეობის შენობა და ეზო. ქ. მახარაძეში მალე დაამთავრებენ საბავშვო სახლის ახალ შენობას.

ხელოვნება

„მეწისქვილე“

ზღაპარი სასიხარულო მოვლენაა მოზარდ მაყურებელთა თეატრის რეპერტუარში. პიესა-ზღაპარი ხელს უწყობს ბავშვის გონების განვითარებას და ფანტაზიის გაშლას.

ბავშვებს უყვართ ზღაპარი. ამიტომ არის, რომ ისინი ასეთი ხალისით ესწრებიან მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის უკანასკნელ ახალ დადგმას —გ. დარბინიანის „მეწისქვილეს“, თუმცა ფანტაზიის გაქანების მხრივ პიესა არც თუ ძალიან მდიდარია. სამაგიეროდ „მეწისქვილეს“ აქვს სხვა ღირსება: იგი მსუბუქია, გამჭვირვალე, ნორჩი მაყურებლის გონებისათვის ადვილად მისაწვდომი და გასაგები. ამასთან ერთად პიესა ხასიათდება მშვენიერი მხატვრული ენით, რაშიაც დიდი დამსახურება მიუძღვის მის მთარგმნელს პოეტ ი. გრიშაშვილს.

„მეწისქვილე“ აღმოსავლური ზღაპარია. მისი დედა-აზრი ხალხური სიბრძნის გამოვლინებაშია. ვეზირისა და უბრალო მეწისქვილის დაპირისპირებით ავტორი მარტივი, გასაგები ენით ეუბნება თავის ნორჩ მსმენელებს, რომ ხალხში მრავალი ნიჭიერი ადამიანი მოიპოვება, მაგრამ დესპოტური რეჟიმის პირობებში მათ დახშული აქვთ გზა განვითარებისა და სახელმწიფო მართვა-გამგეობისაკენ.

გ. დარბინიანს კარგად უგრძვნია საბავშვო პიესის თავისებურობა, სპეციფიკა და ბევრი შესაქცევი ამბავი შეუტანია პიესაში.

„მეწისქვილე“ დადგმულია (რეჟისორი-დამდგმელი გ. დარისპანაშვილი) ნორჩი მაყურებლის ფსიქოლოგიაზე ზედმიწევნის მოხდენის ყველა საიდუმლოს ცოდნით. სპექტაკლი გამოვიდა ცოცხალი, მხიარული, გარეგნულად მიმზიდველი, რომელშიაც ზღაპრული ფანტასტიკა დაკავშირებულია რეალურ სიმართლესთან.

მხატვარ რ. მირზაშვილის ლამაზი დეკორაციები და კომპოზიტორ ვ. შავერზაშვილის მსუბუქი, პიესის მსვლელობასთან შეხამებული მუსიკა თვალს ახალისებს, სმენას ატკბობს.

მოზარდ მაყურებელთა თეატრს მშვენიერი აქტიორული კოლექტივი ჰყავს. მსახიობთა ოსტატობა ამ სპექტაკლშიაც მაღალ დონეზე დგას. პირველ რიგში აღსანიშნავია ვ. ნინუა, რომლის მოხდენილი თამაში მასხარას როლში სიხალისეს და მხიარულებას იწვევს ახალგაზრდა მაყურებლებში.

შეუნელებელი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს ბავშვები მეწისქვილე ოსმანის და ვეზირ მამალექის თავგადასავალს. ა. კაჭკაჭიშვილს და ვ. ბრეშიძეს მხატვრული ტაქტით და ზომიერებით მიჰყავთ თავიანთი როლები.

კარგებია ა. ყიასაშვილი და მ. აბრამიშვილი პირველი შაჰის, ხოლო მეორე მეწისქვილის ცოლის როლში.

გვრწამს, რომ თეატრის მთელი კოლექტივი გულწრფელი სიყვარულით ემსახურება დიდ ხელოვნებას—ბავშვთა მხატვრულ აღზრდის საქმეს.

შ. ბ.

◇

ახალი ამბები

● ხალხური შემოქმედების გამოფენა, რომელსაც ხელოვნების საქმეთა სამმართველო აწყობს, გაიხსნება 1 მაისს ხელოვნების ოსტატთა სახლის დარბაზებში (მახარაძის ქ. № 8).

● ამ დღეებში სახელგამის გამოცემით გამოდის ა. პუშკინის რჩეულ თხზულებათა ოთხტომეულის პირველი ტომი.

● ქალაქის კომენდანტი იუწყება, რომ 26 და 27 აპრილს მლაშე ტბის რაიონში იწარმოებს საარტილერიო სროლა.

◇

საქდესისაგან

მეორე ნაწილში ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სტატიისა (იხ. „კომუნისტი“ 22 აპრ.) „ჩვენი ამოცანები ტროცკისტებთან და სხვა მავნებლებთან, დივერსანტებთან და ჯაშუშებთან ბრძოლაში“ დაბეჭდილია:

„ჩვენ არაიშვიათად გვესმის პასუხისმგებელი ამხანაგებისაგან, რომ მუშაკებს მათ აძლევს პარტია, პარტიული ორგანიზაცია. ამით უნდათ სთქვან, რომ, ეგრეთწოდებული „პასუხისმგებელი მუშაკი“ პასუხს არ აგებს თავისი აპარატის მუშაკთა შერჩევისათვის, რომ თუ ეს მუშაკები უხეირონი არიან, ან პირდაპირ მტრები აღმოჩნდნენ, მაშინ თითქოს პასუხისმგებლობა ეკისრება არა უშუალო ხელმძღვანელს, არამედ იმ პარტიულ ორგანიზაციას, რომელმაც მუშაკი გაგზავნა. ასეთი ლაპარაკი შესაძლებელია კიდევ გასაგები იყოს უპარტიო ადამიანების მხრივ, რომელთათვის პარტია უცხო საქმეა“.

უნდა იკითხებოდეს:

„ჩვენ არაიშვიათად გვესმის პასუხისმგებელი ამხანაგებისაგან, რომ მუშაკებს მათ აძლევს პარტია, პარტიული ორგანიზაცია. ამით უნდათ სთქვან, რომ, ეგრეთწოდებული „პასუხისმგებელი მუშაკი“ პასუხს არ აგებს თავისი აპარატის მუშაკთა შერჩევისათვის, რომ თუ ეს მუშაკები უხეირონი არიან, ან პირდაპირ მტრები აღმოჩნდნენ, მაშინ თითქოს პასუხისმგებლობა ეკისრება არა უშუალო ხელმძღვანელს, არამედ იმ პარტიულ ორგანიზაციას, რომელმაც მუშაკი გაგზავნა. ასეთი ლაპარაკი შესაძლებელია კიდევ გასაგები იყოს იმ უპარტიოთა მხრივ, რომელთათვის პარტია უცხო საქმეა“.

სახალხო მოქანდაკე, ორდენოსანი პროფესორი ი. ნიკოლაძე ამთავრებს შოთა რუსთაველის ბიუსტის გამოკვეთას. სურათზე: შოთას ბიუსტი, ი. ნიკოლაძის ნამუშევარი.

ფოტო ბუდიშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ფეხბურთი

„დინამო“ (ლენინგრადი) — „ლოკომოტივი“

24 აპრილის შეჯიბრება დიდხანს დარჩება თბილისელთა მეხსიერებაში, ერთის მხრივ, როგორც ნიმუში ფეხბურთის თამაშის მაღალი კლასისა და ტექნიკისა, ხოლო მეორე მხრივ, როგორც მწარე გაკვეთილი, საიდანაც სათანადო დასკვნა უნდა გავაკეთოთ.

ლენინგრადელები ამ დღეს ჩვეულებრივი შემადგენლობით გამოვიდნენ. არ თამაშობდა მხოლოდ მარჯვენა გარემარბი სვეტლოვი, რომელიც ვ. ფეოდოროვმა შესცვალა.

„ლოკომოტივში“ თამაშობდნენ: შუდრა, ვორონოვი, აკოფოვი, მირზოევი, ქელიძე, ღვინიაშვილი, ჯეჯელავა, ჩერედნიჩენკო, ლოლაძე, სიხარულიძე, აფრიდონიძე.

თამაში ლოკომოტიველებმა დაიწყეს და ერთსულოვანი შეტევით სახიფათო მდგომარეობა შექმნეს სტუმრების კართან. მთელი თოთხმეტი წუთის განმავლობაში ისინი ლენინგრადის ჰიშკართან ტრიალებდნენ, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიეს. ლოკომოტიველებმა გოლში დარტყმის სრული უუნარობა გამოიჩინეს. აღსანიშნავია, რომ მთელი შეჯიბრების მანძილზე მათ მხოლოდ ოთხჯერ დაარტყეს ბურთი „დინამოს“ კარში.

რა გასაკვირველია, თუ ასეთ თავდამსხმელებს ადვილად იგერიებდნენ დინამოელები. მალე მათ ხელთ იგდეს ინიციატივა და ძლიერ შეავიწროვეს მოწინააღმდეგე. ტაიმის ბოლომდე ორმა ბურთმა გაიარა თბილისის კარში.

თამაშის მეორე განყოფილება ლენინგრადელების ტრიუმფი იყო. შესანიშნავად თამაშობდა მთელი კოლექტივი, განსაკუთრებით კი სახელგანთქმული დემენტიევი. ეს უკანასკნელი ყოველთვის იქ გაჩნდება, სადაც ბურთია. ის არ ილლება, ჯარასავით ტრიალებს თუ ფეხთ იგდო ბურთი, ვეღარავინ წაართმევენ. ამასთანავე დემენტიევის ყოველი დარტყმა მათემატიკურად გამოანგარიშებულია, ამიტომ ყოველთვის ნიშანში ხვდება.

ლენინგრადელებმა ამ დღეს ხუთი ბურთი გაიტანეს, აქედან სამი თვითონ დემენტიევმა შეაგდო, დანარჩენი ორიც მის მიერ შექმნილი კომბინაციის შედეგი იყო. ლოკომოტიველებმა დემენტიევის ბრწყინვალე ტექნიკას ვერაფერი დაუპირდაპირეს, გარდა სარმისა, და ბოლოს შესძლეს კიდეც ამ შესანიშნავი ფეხბურთელის მწყობრიდან გამოყვანა.

შეჯიბრება დამთავრდა ლენინგრადის „დინამოს“ ბრწყინვალე გამარჯვებით — ანგარიშით 5:1.

„ლოკომოტივმა“, თუ მას სურს წარმატება მოიპოვოს საკავშირო პირველობის გათამაშებაში (გუნდი „ვ“ ჯგუფში შედის), საფუძვლიანად უნდა გარდაჰქმნას თავისი თამაში.

მიუხედავად რამდენიმე უხეში შეცდომისა, მსაჯმა ბ. სკოლზნევმა საერთოდ დამაკმაყოფილებლად ჩაატარა ეს პასუხსაგები მატჩი.

წერილი რედაქციას

ამხანაგო რედაქტორო!

„კომუნისტის“ 14 აპრილის ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით: „საღი კრიტიკით ჩატარდა საარჩევნო კრება“. ამ წერილში ჩემს შესახებ ნათქვამია, ვითომც მე ვეწეოდი „კონტრრევოლუციურ - ტროცკისტულ ლაყბობას, სახელმწიფო ქონების უთავბოლო ხარჯვას“.

ეს გაუგებრობაა: არც ამ კრებაზე, და არც სხვაგან არასდროს არავის უთქვამს და არც მქონია ასეთი ბრალდება წაყენებული.

დ. გურჯიშვილი

რედაქციისაგან: საშუალებას ვაძლევთ ავტორს გამოსთქვას თავისი აზრი. უნდა შევნიშნოთ, რომ ამხ. გურჯიშვილის მხრივ თავის დროზე ადგილი ჰქონდა ანტიპარტიულ ლაყბობას, რისთვისაც მას მიღებული აქვს სათანადო პარტიული სასჯელი.

◇

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

აგიტატორთა კურსების (ყველა ჯგუფი) მეცადინეობა. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „საბჭოთა კავშირში სამოქალაქო ომის ისტორიის“ პირველი ტომის მასალების გამოყენება თემისათვის —ბოლშევიკური პარტიის მომზადება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისათვის — ქართულ ენაზე კონსულტანტია ამხ. ჩოხელი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — სტალინური კონსტიტუცია და ანტირელიგიური პროპაგანდის ამოცანები — ქართულ ენაზე. კონსულტანტია ამხ. სახაროვი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

O

26 აპრილს 26 კომისრის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება საინსტრუქციო მოხსენება პირველი მაისისათვის გამოყოფილი მომხსენებლებისათვის.

O

საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომი აცხადებს: პარტბილეთი № 1523870, გაცემული გორის რაიკომის მიერ 1936 წლის 30 ივლისს დავით ივანეს-ძე გუგულაშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი გრ. მუშიშვილი.

ბიბლიოგრაფია

„ხალხური ვეფხის-ტყაოსანი“

ცოტად თუ მეტად განვითარებულ ერებს მუდამ ყოლიათ მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატები. ბერძნული კლასიკური ლიტერატურის მშვენიერებს ჰომიროსი წარმოადგენს. დანტე, გოეთე და შილერი მსოფლიო კლასიკურ ლიტერატურაში დიდი მსჯელობისა და დავის საგნად ქცეულა.

შოთა რუსთაველი თავისი შემოქმედებითი გენიით დგას ლიტერატურის ამ კორიფეებთან, მიუხედავად იმისა, რომ მათ მსოფლმხედველობისა და თემატიკას სულ სხვადასხვა სათავეები აქვს.

შოთა, რომელიც აღორძინების ხანაში მოგვევლინა, არა მარტო ქართული კულტურის სიამაყეა, არამედ მსოფლიო კულტურის დიდი ადამიანების გვერდით დგას როგორც დიდი ხელოვანი, დიდი გენიოსი.

რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსნის“ მეცნიერული კვლევა ამჟღავნებს არა მარტო საქართველოს კულტურის ისტორიულ საწყისებს, არამედ ამ გენიალურ ქმნილებაში ორი მსოფლიოს—აღმოსავლეთისა და დასავლეთის მაჯისცემა მოისმის.

„ვეფხის-ტყაოსნის“ მეცნიერული კვლევა-ძიება დიდიხანია დაიწყო, მაგრამ საკვლევი ობიექტისადმი არასწორმა მეთოდოლოგიურმა მიდგომამ საკითხის მართებულად გადაჭრის იდეა მეორე და მესამე ხარისხოვან მომენტებზე შეაჩერა.

ამ ხარვეზის გამოსწორებას პირველად ყურადღება მიაქცია აკად. ნ. მარმა და სწორედ მან პირველმა ჩაუყარა საფუძველი რუსთველოლოგიას.

თუ კი ბევრი რამ გაურკვეველი იყო რუსთველის და მისი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, ამ მხრივ სრულებით უყურადღებოდ იყო დატოვებული ხალხური შემოქმედება.

ამ მხრივაა საინტერესო მ. ჩიქოვანის „ხალხური ვეფხის-ტყაოსანი“ (თბ. სახ. უნივერსიტეტის გამოცემა, 1937 წ.).

ხალხურ „ვეფხის-ტყაოსნის“ საკითხი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში აღძრა პროფ. ალ. ხახანაშვილმა. მაგრამ საკითხის გადაწყვეტისადმი არასწორი მიდგომის, დიდმა გაურკვევლობისა და მასალების სიმცირის გამო ამან არა თუ არაფერი არ შესძინა რუსთველოლოგიას, არამედ ამ პრობლემის ავტორს, ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი ძალიან სკეპტიკურადაც შეხვდა. ალ. ხახანაშვილს ამ პრობლემის წამოყენებით დიდი სამსახური მიუძღვის, მაგრამ მის მოწინააღმდეგეებსაც ჰქონდათ საბუთი (თვით ავტორისგანვე) განგაში აეტეხნათ. აი რას სწერდა ალ. ხახანაშვილი: „ნაწყვეტი ლექსები ხალხისა გარდაქმნილია ლიტერატურულ პოემად. პოეტს შეუტანია კაცის ამაღლებელი და განმასპეტაკებელი გრძნობა სიყვარულისა, თავიდან ბოლომდი გაუტარებია ეს აზრი და ამით შეუერთებია დაწყვეტილი საერთო ლექსები. შოთას გაუმშვენიერებია ხალხური პოემა ფილოსოფიური მოსაზრებით, მეტყველის ენით, პოეტური აღმაფრენით“. („ივერია“, 1890 წ. № 25).

ამ დებულებიდან გამოდის, თითქოს ხალხში არსებობდა რომელიღაც პოემა. სიუჟეტით მსგავსი „ვეფხის-ტყაოსნისა“. ეს უპოვია შოთას, შეუკოწიწებია არსებული პოემები და ამით შეუქმნია მსოფლიო კულტურის ლიტერატურული განძი.

ეს გულუბრყვილო მოსაზრება დღეს, რასაკვირველია, კრიტიკას ვერ გაუძლებს. ამის შესახებ იმავე წლის გაზ. „ივერიაში“ სამართლიანად სწერდა ვაჟა ფშაველა:

„როგორ! ნაწყვეტი ლექსები იყო და მერე ამ ლექსებს აზრი არაფერი ჰქონდა? ამის თქმა საშინელება რომ არ იყოს, სასაცილო იქნებოდა. რჩება საწყალ შოთას მარტო ბურთი და მოედანი, გმირების ტანისამოსის, პირისახის, აბჯარაფრისა. და ამის გამომხატვას ხომ აზრი არა ჰქვიან. აქ რაღა შუაშია „ჩემი კარგი აღმაფრენა პოეტური“?! გამოვიდა, რომ რუსთველს მარტო ერთმანეთზე მიუკოწიწებია ეს ლექსები, შეუქუჩებია ერთად, როგორც ახლა აგროვებენ ბევრნი სახალხო ლექსებს“.

აქ ვაჟა მართალიცაა და არც არის მართალი. მართალია იმიტომ, რომ ვაჟას ხახანაშვილის ძირითადი მოსაზრება არ მოსწონს, მართალი არ არის იმიტომ, რომ ხახანაშვილს უაღრესად საინტერესო პრობლემის დაყენების ინიციატივას, რა იდეასაც არ უნდა შეიცავდეს იგი, ვერავინ წაართმევს.

მიხ. ჩიქოვანის „ხალხური ვეფხისტყაოსნის“ ღირსებას შეადგენს ის, რომ რუსთველოლოგიის ეს ორი უკიდურესობა თავიდან აცილებულია.

ავტორი უამრავი ფაქტიური მასალებით ცდილობს თავისი ძირითადი დებულების დამტკიცებას. ავტორის ძირითადი დებულება ასეთია: არსებობდა ხალხში არაკი, შოთამ ის გამოიყენა, პოეტურად გარდაჰქმნა და უფრო სრულყოფილი გახადა. ავტორი, მიუთითებს რა ხალხური საგმირო „ტარიელიანის“ არსებობის ფაქტებზე, ასკვნის: „ყველაფერი ზემოთქმული იმას გვიმტკიცებს, რომ შოთა რუსთველს თავის გენიალური პოემა-რომანის თხზვის დროს ხელში ჰქონია სწორედ ეს მითოლოგიური-საგმირო „ტარიელიანი“ და არა სხვა რომელიმე „ამბავი სპარსული“.

მიხ. ჩიქოვანმა უთუოდ საინტერესო მუშაობა წამოიწყო. ავტორმა პირველმა სცადა ხალხში გავრცელებული „ტარიელიანის“—ლეგენდის თუ ზღაპრის—შეკრება, სისტემაში მოყვანა და ანალიზი. რასაკვირველია ხალხურის „ვეფხისტყაოსნის“ ეს მეორე გამოცემაც არ ამოწურავს ამ დიდ საკითხს.

ხალხური „ტარიელიანისა“ და შოთას პოემის შედარების დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო.

ჩვენ ვერ დავეთანხმებით წიგნის ავტორს, თითქოს შრომაში წარმოდგენილი მითოლოგიური-საგმირო „ტარიელიანის“ ძირითადი ვარიანტი ჰქონდა შოთას ხელთ და ამის საფუძველზე შექმნა თავისი გენიალური პოემა „ვეფხის-ტყაოსანი“.

ეს უაღრესად პრინციპული და ჯერ გადაუჭრელი საკითხია. ვინ იცის, რომელი უსწრებდა რომელს. მაგრამ ის კი ფაქტია, რომ შოთას უაღრესად დიდი კავშირი ექნებოდა ხალხური შემოქმედების დაუშრეტელ წყაროსთან. ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ წიგნში წარმოდგენილი ძირითადი ვარიანტის მიხედვით ააგო შოთამ თავისი პოემა, რასაკვირველია, საგმირო „ტარიელიანის“ აქ წარმოდგენილ ვარიანტს ბევრი რამ ახალის თქმა შეუძლია, მაგრამ, ჩვენი აზრით, ის არ არის ისეთი აუზი, რომლიდანაც უშუალოდ შოთას, უკვდავი პოემა გადმოდინდა. ეს მომავალმა მუშაობამ უნდა ნათელჰყოს და დაადასტუროს.

წიგნის ღირსებას ისიც წარმოადგენს, რომ ძირითადი ვარიანტის გარდა, 48 სხვადასხვა მდიდარი ვარიანტია გამოყენებული. წიგნს საკმაოდ დამუშავებული შენიშვნები, დიალექტოლოგიური ლექსიკონი და მოტივთა საძიებლები აქვს დართული.

რუსთველის ქმნილების ხალხური შემოქმედების თვალსაზრისითაც გარკვევა რუსთველოლოგიაში უაღრესად დიდ საქმეს აკეთებს, რადგან—როგორც შენიშნავს მარი—„რუსთველს უეჭველია მჭიდრო კავშირი ჰქონდა ხალხთან, ერთან, მას შეთვისებული ჰქონდა ხალხის სული, ის წყარო, რომელიც არის შემქმნელი ყოველივე ხალხურობის, ეროვნულის, მაშასადამე უკვდავების“.

მ. ჩხენკელი

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

26-IV	აბესალომ და ეთერი
27-IV	რიგოლეტო

დასაწყისი 8 ს. 30 წ.
19 აპრილის წარმოდგენა ტრავიატა სახ. არტ. ე. ა. სტეპანოვას მონაწ. გადადებულია 28 აპრილისათვის. ბილეთები ძალაშია.

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

26-IV წარ. № 158	იცკა რიჟინაშვილი
27-IV წარ. № 159	იცკა რიჟინაშვილი

„კომუნისტის“ რედაქციას ესაჭიროება გამოცდილი კორექტორები და მანქანაზე მბეჭდავი ქართულ-რუსულ ენებზე
პირობების გაგება „კომუნისტის“ რედაქციის სამდივნოში.

სახცირკი ტელ. 3-11-44
30 აპრილს წარმოდგენა დღისით
დასაწყ. 2 ს.

დღეს, 26 აპრილს, მრავალფეროვანი საცირკო პროგრამა და ფრანგული პროფეს. ჭიდაობის მატჩების მე-57 დღე ჭიდაობს 3 წყვილი
1—უვადო შეხვედრა შედეგამდე რევანში ბურგვოი — მ. ბაბალიკაშვილი
2—მ. მაჩაბელი—ნ. ვერდენი
3—მ. ზაგორუიკო—საფრონოვი
წარმოდგ. დასაწყ. 8 ს. 30 წ. ჭიდაობისა—10 ს. 30 წ, სალარო 12—2 ს. და 5 ს-დან

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი

26-IV	არსენა
27-IV	არსენა

დასაწყისი სალ. 8 საათზე.
სეზონის გაგრძელების გამო ვადაგასული მუდმივი ადგილების ხელშეკრულების განახლება შესაძლებელია იმავე ადგილებზე 1-ლ მაისამდე.

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30	დადგმის მეორე კვირა ახალი ხმოვანი ფილმი ბალტიკის დეპუტატი
დამკვრელი 6-30, 8-30, 10-30	ჩარლი ჩაპლინი ხმ. სურათში დიდი ქალაქის ჩირაღდნები
კომკავშირელი 6, 7-40, 9-20, 11	დადგმის მე-2 კვირა ახალი ხმოვანი ფილმი ტომ სოიერი
რ. ლიუქსემბ. სახ. 5, 7, 9, 11	დადგმის მე-2 კვირა ახალი ხმოვ. ფილმი ბალტიკის დეპუტატი
26 კომ. სახ. 6-30, 8-30, 10-30	ხმოვ. ფილმი პარიზის რიჟრაჟი
ახალი ამბები.	ესპანეთის ამბები მე-16 გამოშვ. საუცხოვო კოცონი ხმოვ. ჟურნალი № 15

თბილმრეწვაჭრობამ
20 აპრილიდან
საპროდუქტო მაღაზიებში:
№ 121—პლეხანოვის პროსპ. № 130 ტელ. № 3-65-49
№ 123—ლენინის ქ. № 6, ტელ. № 3-50-68
№ 131—პლეხანოვის პროსპ. და ქორესის ქუჩის კუთხე, ტელ. № 3-28-46
№ 132—კიროვის ქ. № 6, ტელ. № 3-71-90
№ 143—შტაბის, № 4—6, ტელ. № 3-69 87
— მოაწყო —
წინასწარი შეკვეთების მიღება საპროდუქტო საქონელზე
მაღაზიებში მუდამ არის დიდი არჩევანი:
გასტრონომიისა, ბაკალეისა, ღვინო-არყის ნაწარმისა, საკონდიტრო ნაწარმისა, | მინერალური და ხილეულის წყლებისა.
მიიღება შეკვეთები საქონლის ბინაზე მიტანით.
მაღაზიები ღებულობენ წინასწარ შეკვეთებს საპირველმაისო დღესასწაულებისათვის დაწესებულებებისა და კერძო პირებისაგან განუსაზღვრელი რაოდენობით.
გარანტირებულია ყველა შეკვეთის თავის დროზე და კეთილსინდისიერად შესრულება.
შეკვეთები მიიღება ყოველდღე დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
103 თბილმრეწვაჭრობის დირექცია.

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სწმდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეო—3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, პ/მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის —3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული მ—8571